ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2016 წელი, 9 მაისი, №9 (6422)

# ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან
ფასი 40 თეთრი



# 9 მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღეა

1945 წლის 8 მაისს ვერმახტის კაპიტულაციის შემდეგ ევროპაში მეორე მსოფლიო ომი დასრულდა, 9 მაისი კი ფაშიზმზე გამარჯვების დღედ გამოცხადდა.

მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში გერმანია, იტალია და იაპონია აწარმოებდნენ დამპყრობლურ ომებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წინააღმდეგ. მათი მთავარი მოწინააღმდეგეები იყვნენ საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთის რესპუბლიკა და ამერიკის შეერთებული შტატები.

ომმა იმსხვერპლა 60 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე, მათ შორის 20 მილიონამდე მშვიდობიანი მოსახლის. ომის სულისკვეთება გაჟღენთილი იყო მძლავრი იდეოლოგიზმით. ამან ურიცხვი სამხედრო დანაშაული და მშვიდობიან მოსახლეობაზე სისტემატიური ძალადობა გამოიწვია, რომელიც გენოციდშიც კი გადაიზარდა.

მეორე მსოფლიო ომი ევროპაში იყო გერმანიის მიერ წამოწყებული დამპყრობლური და გამანადგურებელი ომი აღმოსავლეთში „საარსებო გარემოს“ მოპოვების მიზნით. გერმანიის საგარეო პოლიტიკის სავარაუდო სქემის ძირითად კომპონენტებს შეადგენდა კავშირი იტალიასა და იაპონიასთან; ბრძოლა გერმანიისთვის გამანადგურებელი შედეგების მომტან ე. წ. „ებრაულ მსოფლიო შეთქმულების“ წინააღმდეგ; გერმანიის საბოლოო მიზანი იყო მსოფლიოში გაბატონებული პოზიციის მოპოვება.

მეორე მსოფლიო ომი ევროპაში გერმანიამ დაიწყო 1939 წლის 1-ელ სექტემბერს, 4 საათსა და 45 წუთზე ვერმახტის პოლონეთზე თავდასხმით. თავდასხმის გამართლების მიზნით გერმანულმა მხარემ მოაწყო რამდენიმე ინციდენტი. ყველაზე ცნობილი მათ შორის იყო პოლონურ სამხედრო ფორმებში გამოწყობილი „სს“-ის წევრების თავდასხმა 31 აგვისტოს რადიოსადგურ გლაივიცზე, რომლის დროსაც მათ პოლონურ ენაზე ეთერში გადასცეს პოლონეთის მიერ გერმანიისადმი ომის გამოცხადების ცნობა.

1941 წლის 22 ივნისის დილას კი ვერმახტის 149 დივიზიამ (მათ შორის ყველა გერმანული სატანკო და მოტორიზებული ძალები) გადალახა სსრკ-ის საზღვრები. 2 დივიზია შეტევას აწარმოებდა ფინეთიდან, 8 სტაციონირებული იყო ნორვეგიაში, 1 – დანიაში, 38 დივიზია დასავლეთ ფრონტზე მოქმედებდა, 2 იბრძოდა ჩრდილოეთ აფრიკაში და 7 – ბალკანეთზე. მიუხედავად ოპერატიული ინფორმაციისა, წითელი არმიის საშუალო და დაბალი რანგის სარდლობა გერმანელთა თავდასხმას მოუმზადებელი შეხვდა. უამრავი საბჭოთა მებრძოლი სსრკ-ის საზღვრის გასწვრივ რაიმე სერიოზული წინააღმდეგობის გაწევის გარეშე დანებდა მარშით მიმავალ გერმანელებს.

1942 წლის 19 ნოემბერს დაიწყო საბჭოთა ჯარების კონტრშეტევა სტალინგრადთან (სტალინგრადის ბრძოლა 1942-1943). 1943 წელს კურსკთან ბრძოლებში (კურსკის ბრძოლა 1943) ფაშისტური გერმანიის ჯარების განადგურების შედეგად მოხდა ძირითადი გარდატეხა მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში. ფაშისტური გერმანია იძულებული გახდა გადასულიყო სტრატეგიულ თავდაცვაზე. საბჭოთა არმიამ დაიწყო ფართო შეტევა მთელ ფრონტზე. 1943 ზაფხულსა და შემოდგომაზე გაათავისუფლეს დონბასი და მარცხენა ნაპირის უკრაინა, გადალახეს დნეპრი და დაიწყო ბელორუსიისგათავისუფლება. 1942 შემოდგომიდან ერთგვარად გააქტიურდა დიდი ბრიტანეთი და აშშ-ის სამხედრო მოქმედება. 1942 ოქრომბრის ბოლოს დაიწყო ინგლისის მე-8 არმიის (სარდალი გენერალიმონტგომერი) შეტევა ჩრდილოეთ აფრიკაში. ელ-ალამაინის ბრძოლაში (1942 წლის 23 ოქტომბერი-4 ნოემბერი) გამარჯვების შემდეგ ინგლისის ჯარები 3 თვის განმავლობაში უტევდნენ გენერალ-ფელდმარშალ რომელის ჯარებს აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროს გასწვრივ და გავიდნენ ტუნისის სამხრეთ საზღვართან. 1942 წლის 8 ნოემბერს დაიწყო ამერიკა-ინგლისის საექსპედიციო ძალების (150 ათ.) გადასხმა საფრანგეთის ჩრდილოეთ აფრიკაში.

გაგრძელება მე-3 გვ. -ზე



# საალდგომო ეპისტოლე უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ისა

## „დამიხსნის მე უფალი ყოველი ბოროტი საქმისაგან და მაცხონებს მე თავის ზეციურ სასუფეველში“ (II ტიმ. 4,18)



ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, საერო დასნო, საყვარელნო დანო და ძმანო!

ქრისტე აღდგა!ქრისტე აღდგა! – გუგუნებენ ეკლესიის ზარები,

ქრისტე აღდგა! დღესასწაულობს ცა და ქვეყანა

ქრისტე აღდგა! – სიხარულით ვლაღადებთ ჩვენც და არამიწიერი გრძნობით აღვსილნი ბოროტების ბატონობის დასრულებას ვზეიმობთ.

„სადა არს, სიკვდილო, საწერტელი შენი?

სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაი შენი?“ (I კორ. 15,55).

დღეს ყველა ბედნიერია, — მდიდარი თუ ღარიბი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ჯანმრთელი თუ სნეული... ურწმუნო ადამიანიც კი სხვა გრძნობითაა განმსჭვალული.

— რატომ არის ასეთი ყოვლისმომცველი ეს ზეიმი?

— იმიტომ, რომ მაცხოვარმა აღდგომით ზეცის კარიბჭენი გახსნა ყველასთვის და ადამის მთელი მოდგმა ადამის ცოდვის გამომსყიდველს შეჰხარის.

— მაგრამ რის ფასად მოგვენიჭა ეს ბედნიერება?

„შენთვის ღმერთი შენი ვიქმენ ძედ შენდა; შენთვის უმაღლესი ზესკნელთა გარდამოვხედ ქუეყანად და ქვეყანით შთავხედ ქუეშე ქუეყანისა, რათა ხრწნილებისაგან აღგადგინო“, — ვკითხულობთ დიდი შაბათის საკითხავში.

დიახ „ცოდვის არმცოდნე (უფალი) ცოდვის მსხვერპლი გახდა ჩვენი გულისთვის, რათა მასში ღმერთის სიმართლედ ვქცეულიყავით“ (II კორ. 5.21).

ამ მოვლენის არსი რომ ნაწილობრივ მაინც გავაცნობიეროთ, ჯერ სულიერად გოლგოთას უნდა მივეახლოთ, სადაც ჯვარცმულ მაცხოვართან ერთად ორი დამნაშავეა გაკრული ძელზე.

ორივე ავაზაკი ცოდვებით და უკეთურებებით იყო სავსე, მაგრამ სულიერად სრულიად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან.

ერთი შეურაცხყოფდა უფალს და დასცინოდა მას, მეორე კი თავის ხვედრს სამართლიანად მიიჩნევდა და სთხოვდა იესოს შეწყალებას.

დიადი რწმენა! – ასე ახასიათებენ წმინდა მამები მეორე ავაზაკის ამ მდგომარეობას. საალდგომო ერთერთ ჰომილიაში ვკითხულობთ: თვით მოციქულებიც, რომლებიც ხედავდნენ უკვე მკვდრეთით აღმდგარ იესოს, კიდევ მერყეობდნენ და დამამტკიცებელ საბუთებს ეძიებდნენ, ჯვარცმულმა ავაზაკმა კი ყველაზე დამამცირებელი სასჯელით დასჯილი ქრისტე იწამა და შესთხოვა: „მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა“(ლუკა, 23,42); პასუხად კი მიიღო: „ამინ, გეტყვი შენ: დღეს ჩემთანა იყო სამოთხესა“(ლუკა 23,43).

თავმდაბლობამ, საკუთარ ცოდვათა გაცნობიერებამ და სინანულმა ავაზაკს სულიერი თვალი აუხილა, ჯვარცმულ იესოში მაცხოვარი დაანახა, რაც გახდა მიზეზი ჯვრიდან ზეცაში მისი მსწრაფლ აღყვანებისა.

აქვე მინდა შეგახსენოთ „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული შემდეგი ისტორია: იერუსალიმიდან მოსული მოწვევის თანახმად, დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად და, ამასთან, მაცხოვრის ჯვარცმაზე დასასწრებად წასვლა საქართველოში მცხოვრები ებრაელებიდან, ლონგინოზთან ერთად, მოუწია წმინდა სიდონიას ძმას, ელიოზს;

მათი დედა დიდად წუხდა იმის გამო, რაც შეიძლება წმინდა ქალაქში განვითარებულიყო, რადგან გრძნობდა, უსამართლო განსჯა ხდებოდა მართლისა; ამიტომაც შვილი დაარიგა, არ მიეღო მონაწილეობა მაცხოვრის დასჯაში, რაც ელიოზმა აღასრულა და მცხეთაში მაცხოვრის კვართი სწორედ მან და ლონგინოზმა ჩამოაბრძანეს. მანამადე კი, პარასკევ დღეს, როცა პასანიკმა (ჯალათმა) კვერი (იგივე ურო) დაარტყა იესოს ჯვარზე მისაჭედებლად, ელიოზის და წმინდა სიდონიას დედა იმდენად თანაეზიარა ვნებებს უფლისას, რომ დაჭედების ხმა მას გოლგოთიდან მცხეთას მოესმა, სამსჭვალმა თითქოს გულში გაუარა, ტკივილისაგან სულშეძრულმა „იკრჩხიალა მწარედ“ აღმოთქვა რა: „მშვიდობით, მეფობაო ჰურიათაო, რამეთუ მოჰკალით თავისა მაცხოვარი და მხსნელი“ და სული განუტევა.

ეს არის იესო ქრისტეს, როგორც ჭეშმარიტი ღმერთის, სრული აღიარება და ამასთან, მისთვის პირველი მარტვილობის მაგალითი კაცობრიობის ისტორიაში.

ასე რომ, მაცხოვრის ჯვარცმისას მარადიული ნეტარების ღირსი ორი პიროვნება აღესრულა ქრისტეს რწმენით, — იერუსალიმში ავაზაკი და მცხეთას წმინდა სიდონიას და ელიოზის დედა. წმ.სიდონიას დედა წმინდანად ახლახანს იქნა კანონიზებული საქართველოს ეკლესიის მიერ.

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე

# 22 აპრილი — დედამიწის დღე

## ყვარლის მუნიციპალიტეტში დასუფთავების აქციით აღინიშნა

ამ დღეს დასუფთავდა ყვარლის ტბისკენ მიმავალი ტრასა და მიმდებარე ტერიტორიები. დასუფთავების აქციაში მონაწილეობა მიიღეს ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბ-ნმა ილია მზექალაშვილმა, მოადგილეებმა: ოთარ ბუჯიაშვილმა, ქეთევან ზაუტაშვილმა და მალხაზ ხიზანიშვილმა. აქციაში აქტიურად მონაწილეობდნენ ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურები და ა(ა).ი.პ — ები. დასუფთავების შედეგად აღებულ და გატანილ იქნა დაახლოებით 15მ3 საყოფაცხოვრებო ნაგავი. მრავალი ასეთი დიდი თუ პატარა დასუფთავებისა თუ გამწვანების აქცია ჩატარებულა ყვარელში გამგებლის ილია მზექალაშვილის ინიციატივითა და ხელშეწყობით. დაე, ასე გაგრძელებულიყოს ყვარლის მუნიციპალიტეტში ასეთი მადლიანი საქმეების კეთება, რათა საქართველოს დიდ გარემოსდაცვით საქმიანობებში მცირე წვლილი მაინც შეგვეტანოს.



# სააღდგომო ეპისტოლე უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ისა



დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

აღვნიშნავთ იმასაც, რომ კეთილგონიერი ავაზაკი ამავე დროს, არის მონანული ქრისტიანის სიმბოლო, რადგან ჩვენ ყველანი ცოდვილნი ვართ ღვთის წინაშე. მართალია, უფლის ნათლისღებით ნათელვიღეთ და განვიბანეთ სულისა და ხორცის ბიწისაგან, მაგრამ ჩვენი დაცემული ბუნების გამო ნათლობის შემდეგაც არ ვიშლით ავ ზნეს და ვნებათა მონა ვხდებით ყოველდღიურად, რაც საუკუნო დაღუპვას გვიქადის.

— როგორ მოვიქცეთ?

— ღმერთს უნდა მივუახლოვდეთ.

— და რა გავაკეთოთ ამისათვის?

— უნდა ვისწავლოთ საკუთარ თავზე დაკვირვება, თითოეული ჩვენი ქმედების სწორი შეფასება, უნდა ვისწავლოთ ანალიტიკური აზროვნება, თეთრისა და შავის გარჩევა, რაც საშუალებას მოგვცემს ბოროტს განვეშოროთ და სიკეთეს ვემსახუროთ.

სამწუხაროდ, თუნდაც მორწმუნე, მაგრამ არაეკლესიური ადამიანების უმრავლესობასაც თავდაპირველად ჰგონია, რომ მათ, თითქოს, ცოდვა არა აქვთ, რომ კარგი თვისებებისანი არიან და არაფერი აქვთ სააღსარებო და მოსანანიებელი; მაშინ, როდესაც, მართლაც, წმინდად მცხოვრებნი გულწრფელად მიიჩნევენ, რომ ულირსნია და მათზე ცოდვილი სხვა არავინაა.

— ასე რატომ ხდება?

— შეგახსენებთ აბბა დოროთეს საუბარს ქალაქ ღაზას ერთ წარჩინებულ და ფრიად გავლენიან მოქალაქესთან:

— როგორად მიგაჩნია შენი თავი ამ ქალაქში? — ჰკითხა მას წმინდანმა.

— ფაქტია, ყველა მიცნობს და მაფასებს, — იყო პასუხი.

— თუ კესარიაში წახვალ, იქ როგორად მიიჩნევ შენს თავს?

— იქაურ დიდებულთა შორის უმცირესად.

— ანტიოქიაში თუ იქნებოდი?

— ჩვეულებრივ მოქალაქედ.

— და თუ კონსტანტინეპოლში მეფის კარზე მოხვდებოდი?

— გლახაკად და არაფრისმქონედ.

ასე არის ნებისმიერი ადამიანიც, — უთხრა აბბა დოროთემ, — რაც უფრო უახლოვდება ღმერთს, მით მეტად ხედავს თავის არარაობას და ულირსობას.

ხოლო ვინც მისგან შორს არის, თავსი ცხოვრებით თავმომწონეობს.

ჩვენ უნდა დავიწყოთ ჩვენი თავის შეცნობა და ჩვენი სისუსტეებისა და ნაკლოვანებების გაცნობიერება.

როგორც წმინდა მამები აღნიშნავენ, მომაკვდინებელ ვნებები შემდეგია:

გემოთმოყვარება, სიძვა, ვერცხლისმოყვარება, მრისხანება, მოწყინება, უიმედობა, დიდებისმოყვარეობა და ამპარტავნება. სხვა ყველაფერი მათგან მომდინარეობს.

ამა თუ იმ ცოდვამ ადამიანში თუ ღრმად გაიდგა ფესვი, მას დამღუპველი ზემოქმედება აქვს.

ამიტომაც, ნუ იფიქრებ, რომ თუ შენ, მაგალითად, კეთილი ხარ, მაგრამ ლოთი, ეს ცოდვა მძიმედ არ იმოქმედებს შენს მომავალ ცხოვრებაზე. ან, თუ გონიერი ხარ, მაგრამ შურით სავსე, ეს ხელს არ შეგიშლის ცხონებაში.

„ვინც თქვა არ იმრუშო, ისიც თქვა: არა კაც ჰკლა. ამიტომ, თუ არ იმრუშებ, მაგრამ კაცს მოკლავ, რჯულის დამრღვევი ხარ“. (II ტიმ. 2, 10-11).

ამასთან, ვნებებს შორის უხილავი, მტკიცე მიზეზ-შედეგობრივი კავშირია და თუ ადამიანი ერთ-ერთმა მათგანმა ჩაითრია, ის ერთი სხვა ვნებებსაც მოიზიდავს.

თუმცა, როგორც ერთი ცოდვა შობს მეორეს, ასეთივე თვისებისაა ქრისტიანული სიკეთენიც. იცოდე, ერთ ღვთისსათნო საქმეში თუ განმტკიცდები, სხვა სათნოებებსაც შედარებით ადვილად მოიპოვებ.

მოწაფის კითხვაზე: რა გავაკეთო, რომ ღმერთს სათნო ვეყო?, — ცნობილმა ბერმა უპასუხა: განა ყველა კეთილი საქმე კეთილი არ არის? აბრაამი იყო სტუმართმოყვარე და ღმერთი იყო მასთან. დავით მეფე იყო მშვიდი და ღმერთი იყო მასთან, შენც დაუკვირდი, რომელი ქველი საქმისკენ ისწრაფვის შენი სული, აკეთე იგი ღვთის სადიდებლად და სხვა მადლიც განმრავლდება შენში. ოღონდ, უპირველეს ყოვლისა, მოიპოვე სინანული და თავმდაბლობა, რაც არის ქრისტიანული ცხოვრების საფუძველი.

„შეინანეთ“! — ქადაგებდა წმ. იოანე ნათლისმცემელი.

„შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულ არს სასუფეველი ცათა“ (მთ.4.17) — მოუწოდებდა და მოუწოდებს მაცხოვარი და ამასთან გვაფრთხილებს:

„ყავთ ნაყოფი ღირსი სინანულისა“, — რაც ნიშნავს იმას, რომ სინანული ჩადენილი ცოდვის ტოლფასი უნდა იყოს, ანდა ჭარბობდეს მას, თუ გვინდა, რომ აღიხოცოს იგი ჩვენი სულიდან.

გავიხსენოთ მეზვერე ზაქე წმინდა სახარებიდან.

უფალთან შეხვედრამ იგი ისე შეცვალა, რომ უფალს აღუთქვა მებაჟეობისას ხალხისგან უსამართლოდ წართმეულ ზედმეტს ოთხწილად დაუბრუნებდა უკან ყველას, რადგან იგრძნო თავისი დანაშაულის სიმძიმე.

ღმერთს უყვარს გულწრფელად მონანული ასეთი ადამიანი; უყვარს იმდენად, რომ მისი მოწყალება ფარავს ყველაზე დიდ და მძიმე ცოდვებსაც.

— როგორ მივხვდეთ, ცოდვის ტოლფასია თუ არა ჩვენი სინანული?

— თუ შედეგად ჩვენში ხდება ცოდვასთან სრული განშორება და აზროვნების და ცხოვრების წესის შეცვლა, — მიზნისთვის მიგვიღწევია.

ასეთი სინანული არის სინდისის განმწმენდელი და აღმადგინებელი ძალა, სულიერი სიმშვიდის მომნიჭებელი და სასწაულთმოქმედების უნარის მქონე მადლი, ღვთის მოწყალების გამღები ერთადერთი კარი.

სულიერი თვალის ახელა ზოგიერთ პიროვნებაში ნელ-ნელა ხდება, ზოგიერთში კი — ერთბაშად, თუმცა ორივე შემთხვევაში სიწმინდის შენარჩუნება სერიოზულ ძალისხმევას მოითხოვს.

ამ ბრძოლაში დიდ შეცდომას დავუშვებთ, თუ მხოლოდ ჩვენს თავს დავეყრდნობით, არამედ მუდმივად უნდა ვლოცულობდეთ და უფალს ვუხმობდეთ, რადგან მხოლოდ იგია ბოროტის შემმუსვრელი და ჩვენი განმაძლიერებელი.

არ შევუშინდეთ დროებით წარუმატებლობებს!

წმინდა მამები გვასწავლიან, რომ ის კი არ არის საშიში, თუ ვნებები გვებრძვის და ჩვენც ვებრძვით მათ, არამედ ისეთი მდგომარეობა, როცა ვემორჩილებით სხვადასხვა ვნებას და წინააღმდეგობის გაწევის სურვილი აღარ გვაქვს.

უბედურება იმაში კი არ არის, რომ შესცოდე, არამედ იმაში, რომ დაცემულს ადგომა არ გინდა; უბედურება ის კი არ არის რომ ვნებებმა დროებით დაგძლია, არამედ ის, რომ ცოდვაში ცხოვრება მოგწონს და ჯიუტად აგრძელებ ასეთ ყოფას და სხვათაც ღუპავ.

ზოგს მიაჩნია, რომ ღვთის მცნებების დაცვა ძნელია და რადგან ამის უნარი არა აქვს, ურჩევნია, ძველებურად განაგრძოს ცხოვრება, თუმცა იცის, რომ სწორად არ იქცევა. დიდი ნაწილი კი ფიქრობს, რომ მისთვის მთავარია, დღეს, აქ ჰქონდეს ყველაფერი, აქ იგემოს ყველა შესაძლო სიამოვნებაც და განსაცდელიც, რადგან რა იქნება გარდაცვალების შემდეგ, არ იცის და არ ესმის, რატომ უნდა დაიტანჯოს თავი რაღაც გაურკვეველი მომავლისათვის, რომელიც მართლა არსებობს თუ არა, არავინ უწყის.

ასეთად მოაზროვნეთათვის, რა თქმა უნდა, რაიმეს მტკიცებას აზრი არა აქვს. ისინი იმასაც ვერ ხვდებიან, რომ თუ ჩვენ მხოლოდ ამქვეყნიური ცხოვრებისათვის ვიყავით შექმნილნი, მაშინ, წესით, სიკვდილი არ უნდა ყოფილიყო და ჩვენი ყოფაც აქ, ამ მიწაზე დაუსრულებლად უნდა გაგრძელებულიყო.

ხმელეთისა და ზღვისქვეშეთი, ფლორა და ფაუნა, მზის გალაქტიკა (სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ) მთელი თავისი ურთულესი მექანიზმებით ნუთუ მარტო იმისთვის შეიქმნა, რომ ჩვენ ამ გარემოში 40, 80 თუ 100 წელი დავყოთ მხოლოდ და მერე უკვალოდ გავქრეთ? ეს ხომ უაზრობაა.

ნუ მივემსგავსებით მაცხოვრის გვერდით ჯვარცმულ იმ ავაზაკს, რომელმაც მთელი სიცოცხლის მანძილზეც და ძელზე ყოფნისასაც ვერ გაიგო, რა იყო სიცოცხლის აზრი, ვერც ქრისტე შეიცნო, და კიდევ უარესი, — ბოლომდე შეურაცხყოფდა და დასცინოდა მას.

ღმერთმა ყველა დაიფაროს ამ მდგომარეობისაგან.

თუ ძელზედ გაკრული მეორე ავაზაკი სიმბოლოა მორწმუნე და მონანული საზოგადოებისა, ეს ავაზაკი სახეა ურწმუნო და უგულისხმო, სინანულის არმქონე ხალხისა.

ჩვენ რომელ ავაზაკს ვგავართ? როგორი იქნება ჩვენი ჯვარი, — გადამრჩენელი, თუ წარმწყმედელი?

„ამქვეყნიური ჩვენი ყოფა ქარვასლას ჰგავს, სადაც ყველაფერი იყიდება, — წერენ წმინდა მამები, — წარუვალი ბედნიერების შეძენა თუ გსურთ, წარმავალი დროებითი სიკეთენი უნდა დათმოთ, რადგან იგი მხოლოდ ასეთი საფასურით მოიპოვება; მაგრამ თუ ამ შესაძლებლობას ახლა ხელიდან გაუშვებთ, მას სამუდამოდ დაკარგავთ, რადგან ასეთი საშუალება აღარასოდეს გვექნება“.

როდესაც ვსაუბრობთ, რომ დროებითი სიკეთენი უნდა დავთმოთ მარადიული ნეტარებისთვის, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მორწმუნე ადამიანი (საერო თუ სასულიერო პირი) ამქვეყნიურ ცხოვრებას მუდმივ მწუხარებაში ატარებს; სულაც არა. ცოდვასთან და სხვადასხვა ბოროტებასთან სულიერი ბრძოლა თუ ხდება ლოცვითა და ღმერთზე მინდობით, უფალთან უხილავი, მაგრამ რეალური ისეთი კავშირი მყარდება, ისეთი სხვა განცდა შემოდის, რომ იგი თავისი სიძლიერით ფარავს ნებისმიერ ტკივილს. ამიტომაც ამბობენ, რომ ამგვარად მცხოვრებთათვის სამოთხე დედამიწიდან იწყებაო.

დიახ, ადამიანი ბედნიერებისათვისაა შექმნილი და ამას ესწრაფვის იგი მაშინაც, როდესაც ვნებებს ემონება და მაშინაც, როდესაც ცოდვებს განეშორება.

ვისაც ცოდვის მორევში ყოფნა მოსწონს და ამაში ჰპოვებს მხოლოდ სიამოვნებას, მისთვის გაუგებარი და მიუღებელია ის სიხარული და ნეტარება, რომელსაც ჯვარცმული იესო გვთავაზობს.

მას სხვა ვერაფრით დავეხმარებით, გარდა ლოცვისა და ჩვენც შევთხოვოთ აღდგომილ მაცხოვარს, ყველას გაუნათოს გული და გონება წარუვალი ბედნიერების შესაგრძნობად.

როგორც აღვნიშნეთ, ქრისტიანული ცხოვრება სერიოზული პრობლემების დაძლევას გულისხმობს. რა თქმა უნდა, ამ გზაზე ხშირად გვხვდება ცილისწამება, ღვარძლი, გაჭირვება, შური...და დგება ისეთი მომენტებიც, როცა ჩვენც აღმოგვხდება: „მამაო ჩემო! თუ შესაძლებელია, ამარიდე ეს სასმისი“ (მთ. 26,39), ანდა „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაისათვის დამიტევებ მე“ (მთ. 27,46), მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთი იმაზე დიდ ჯვარს არ მოგვცემს, რისი ტვირთვაც არ ძალგვიძს. ამიტომაც, გაჭირვების ჟამს მასვე უნდა მივმართოთ, სულიერი ღვაწლი განვაძლიეროთ და პრობლემები მალევე დაიძლევა.

გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს!

ხოლო ის, ვინც სისუსტის, შიშის თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს, რთულ სიტუაციას კი არ განერიდება, არამედ მარადიული ტანჯვის მორევში შედის. ამიტომაც, ვისაც ასეთი ფიქრები გაუჩნდება, მსწრაფლ უნდა მოიშოროს თავიდან, მოძღვართან მივიდეს აღსარება თქვას, რათა სულიერად განმტკიცდეს და ბოროტის მარწუხებისგან თავი დაიცვას.

სამწუხაროდ, ბოლო დროს თვითმკვლელობის ფაქტები განსაკუთრებით გახშირდა გარდამავალი ასაკის ახალგაზრდებს შორის.

მათში ემოციური ფონი გაძლიერებულია. ამასთან, გარემოს შეცნობისა და ძიების პროცესი მიმდინარეობს, რასაც შეიძლება არასწორი მიმართულება მიეცეს. ამიტომაც, ჩვენს გოგონებსა და ვაჟებს ამ პერიოდში მშობლებისაგან მეტი ყურადღება სჭირდებათ. მართალია, ეკონომიურმა გაჭირვებამ დედაც და მამაც აიძულა, რომ ლუკმა-პურის საშოვნელად მთელი დღე სახლის გარეთ დაჰყონ, მაგრამ შვილზე მზრუნველობა უმთავრესია და აქ, როგორც ქალის, ისე მამაკაცის, პასუხისმგებლობა თანაბარია.

მოზარდებისათვის ყურადღების მიქცევა მკაცრ მოპყრობას არ გულისხმობს. პირიქით, ეს ისეთი ასაკია, როდესაც თქვენ, მშობლები, მათ მეგობრად უნდა ექცეთ, მეტი სითბო აჩვენოთ, დაინტერესდეთ მათი მიზნებით, ცხოვრების წესით, სამეგობრო წრით, რომ თანამდგომად მიგიღონ და გულახდილნი გახდნენ. ეს თქვენთვისაც აუცილებელია და მათთვისაც.

აქვე შევეხები ქუჩის ბავშვების პრობლემას. ისინიც ჩვენი ხვალინდელი დღის შემომქმედნი იქნებიან და, ბუნებრივია, მეტად მნიშვნელოვანია, თუ როგორ პიროვნებებად ჩამოყალიბდებიან.

უკვე 21 წელია ამ მიმართულებით იღვწის ჩვენი ეკლესია; სათანადო ორგანიზაციები, არასამთავრობო სექტორი, ხელისუფლება ამ თემაზე კარგახანია სერიოზულად მუშაობს. ჩვენ მზად ვართ მომავალშიც, შესაძლებლობისამებრ, გვერდში დავუდგეთ მათ. უმეთვალყურეოდ დარჩენილი პატარები ქუჩაში არ უნდა ცხოვრობდნენ და ამას მალე უნდა მივაღწიოთ.

ეკლესიას დიდი სურვილი აქვს, მზრუნველობა გაუწიოს იმ ახალგაზრდებს, რომელთაც ასაკის გამო ბავშვთა სახლებში აღარ აჩერებენ, წასასვლელიც არსად აქვთ და არც ცხოვრებისთვის არიან მომზადებულნი.

ჩვენ გამოვყავით როგორც ტერიტორია, ასევე შენობა და არასამთავრობო სექტორთან, ჯანდაცვის სამინისტროსა და მერიასთან თანამშრომლობით ვფიქრობთ, აქ გავხსნათ სახელობო-პროფესიული სასწავლებელი, სადაც 18 წლის გოგონებისა და ვაჟების გარკვეული რაოდენობა 23 წლამდე იცხოვრებს კიდეც და დამოუკიდებელი არსებობისთვისაც მოემზადება.

ეს, რა თქმა უნდა, მეტად მცირეა იმ საქმესთან შედარებით, რაც გასაკეთებელია, როგორც ეკლესიის, ისე სახელმწიფოს მხრიდან.

მრავალ პრობლემას ეშველება, თუ მოსახლეობა დასაქმდება, თუ მცირე ბიზნესი განვითარდება და სოფლის მეურნეობა აღორძინდება.

მეტი გასაქანი უნდა მიეცეს მინანქრის, ოქროსა და ვერცხლის დამუშავებას, მზისა და ქარის ენერგიის გამოყენებას, წყლის ექსპორტს, კერამიკის, შუშისა და თიხის წარმოებას, მცირე ჰესების მშენებლობას, ტურიზმს და სხვა.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეისთვის საქართველოს შემოაქვს სოფლის მეურნეობის კვების პროდუქტების 80%; არადა ქვეყანას აქვს რეალური შესაძლებლობა იმისა, რომ სრულად დააკმაყოფილოს მოსახლეობის მოთხოვნილება და მის გატანაზეც იფიქროს. ამისთვის კი, უნდა გაძლიერდეს როგორც ოჯახური მეურნეობები და წახალისდეს სხვა კერძო ინიციატივები; ადგილზე უნდა აშენდეს გადამამუშავებელი მცირე საწარმოები, შეიქმნას მექანიზებული ჯგუფები, რომლებიც სოფლებს მოემსახურებიან.

სასურველი იქნება, თუ თითოეულ რეგიონს თანხის გარკვეული რაოდენობა გამოეყოფა და თავდაპირველად სახელმწიფოვე იზრუნებს გასაღებაზე ორიენტირებული და ამ მხარისათვის ყველაზე მომგებიანი მიმართულებების განვითარებაზე.

მოსახლეობას ბიძგის და ორიენტაციის მიცემა სჭირდება, გონივრული დახმარება უნდა, რომ თავისი შრომის ნაყოფი დაინახოს და იგრძნოს, რომ მისი საქმიანობა შედეგის მომტანია.

მაშინ ქვეყანა მალევე დაიწყებს აღორძინებას და ხალხში შრომის სიყვარული აღდგება.

საყოველთაო ჯანდაცვა, მთის კანონი, სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებები იმედით განგვაწყობს, თუმცა მათ მიერ განსახორციელებელი დახმარებების თაობაზე ხალხის ინფორმირებულობა მეტი უნდა იყოს, რომ მოსახლეობამ სრულად გამოიყენოს არსებული შესაძლებლობები.

ჩვენთვის ამ ქვეყნად მოცემული სიცოცხლის დრო უდიდესი დატვირთვისაა, რადგან ყოველი ადამიანისათვის ამ პერიოდში ხდება მარადიული ნეტარების მოპოვება ან დაკარგვა.

სწორად რომ ვიცხოვროთ, ფიზიკური, ინტელექტუალური და სულიერი შრომა უნდა შევუთავსოთ ერთმანეთს და ამასთან, უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ყოველ დროს თავისი მახასიათებელი აქვს. იგი ამა თუ იმ მიმართულებას ხელს უწყობს, ან უგულებელჰყოფს. უნდა გავაცნობიეროთ, როგორია ჩვენი დროის შემოთავაზება, რომ ადვილად განვსაზღვროთ ჩვენი ადგილი ამ სამყაროში და ვუპასუხოთ მის გამოწვევებს.

თანამედროვეობამ „სიახლის“ სახელით წინ წამოსწია „მეს“ პრინციპი, გართობა, ბუნდოვანი აზროვნება, ვულგარული მეტყველება, აქცენტი ნაწილზე და არა მთელზე...ანუ ის, რასაც არა აქვს დიდი დატვირთვა და სიღრმე.

სანაცვლოდ, დამამცირებლად წარმოაჩენენ ისეთ ცნებებს, როგორიცაა ჭეშმარიტება, ღირსება, გონიერება, სამშობლო, მოყვასი და სხვა.

ასეთი ტენდენციები ახალგაზრდას პიროვნებად კი არა, მასის ნაწილად აყალიბებს და საშუალო დონის, ყველაფრის შემგუებელ არსებად აქცევს, რომელიც ცხოვრობს დღევანდელი დღით და მომავალი არ აინტერესებს.

შენ არ აჰყვე წუთისოფლის დინებას და მისგან შემოთავაზებულ განწყობას. ამა სოფლის სული არის სული სიცრუისა. იგი დღეს ერთ რამეს განადიდებს, ხვალ სხვას. განა ჩვენ მოწმენი არა ვართ იმისა, რომ რაც საზოგადოების ნაწილს 10-20-40 წლის წინ კარგად და მისაბაძად მიაჩნდა, დღეს მას დასცინის?! ასევე იქნება ცოტა ხნის შემდეგ იმ „ფასეულობების“ მიმართ, რასაც იგი დღეს ხოტბას ასხამს.

შენ იფიქრე მარადიულ ღირებულებებზე და ეცადე, შენი მეობა, შენი ღირსება არასოდეს დაკარგო. უფლის მცნებები იყოს შენი წარმმართველი. ეცადე შენი შესაძლებლობის მიხედვით მაქსიმუმი გაიღო. ამასთან, ზომიერება შეინარჩუნე, გააკეთე ისე, რომ შენმა სწორმა ქმედებამ სიხარული მოგიტანოს და არა შფოთი და ასე, ნელ-ნელა განმტკიცდები სათნოებებში.

მიემსგავსე ლოტს, რომელიც ცხოვრობდა სოდომში, სადაც ყველა უკანონობას სჩადიოდა, მაგრამ იგი სხვებივით არ იქცეოდა, არამედ აკეთებდა იმას, რაც ღვთისთვის სათნო იყო, ამიტომაც გადარჩა.

ისწავლე ლოცვა!

ლოცვა საუბარია ღმერთთან, გულისნადების მის წინაშე განფენაა, საკუთარი თავის მის შვილად შეცნობა და ღვთის მადლისა და შეწევნის მოპოვებაა; თუმცა სულიერი შრომა მარტო ლოცვას არ გულისხმობს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს, რა თქმა უნდა, აგრეთვე, არის სწორი სულიერი აზროვნება და სულიერი ცხოვრება. ეს რომ შევძლოთ უფლის მხსნელ მარჯვენას ხელი უნდა ჩავჭიდოთ და მასთან ვიყოთ განუშორებლად.

მაშ, არ შევუშინდეთ დაბრკოლებებს, არ შევწყვიტოთ ბრძოლა განწმენდისათვის და ვიცოდეთ, რომ როგორი დაცემულიც არ უნდა ვიყოთ, უფალს ვუყვარვართ და გველოდება,ელოდება ჩვენს სინანულს; ამიტომაც ბრძანებს: „არ მოვსულვარ მართალთა მოსაწოდებლად, არამედ ცოდვილთა სინანულისთვის“ (მთ.9,13), „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ“ (მთ.11,28), „რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტვირთი ჩემი სუბუქ არს“ (მთ. 11,30).

ოღონდ ნაბიჯის გადადგმა არ გადავდოთ ხვალისათვის, რადგან ეს ხვალე შეიძლება აღარ დადგეს.

თითოეულ ჩვენგანს სასწაულთმოქმედების უდიდესი უნარი გვაქვს; თუ ღმერთს მივეახლებით და ცოდვებისაგან განვთავისუფლდებით, ჩვენს სულში დიდი ცვლილების მომსწრენი გავხდებით. ამისი მაგალითნი არიან წმინდანები. ისინიც ისეთივე ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ, როგორიც ჩვენ ყველანი, ბევრ მათგანს ადრე ჩვენზე არანაკლები სისუსტეებიც შეიძლება ჰქონდა, მაგრამ სინანულით, აღსარებით, ზიარებით და სულიერი ღვაწლით ზეციურ სასუფეველს მიაღწიეს. ამიტომაც წერს ნეტარი ავგუსტინე, წმინდანთა რიცხვი ყოფილ ცოდვილთა რიგებიდან მრავლდებაო.

მაშ, შევიმოსოთ სიხარული, ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, რუსნო, უკრაინელნო, ებრაელნო, აზერბაიჯანელნო, სომეხნო, ასირიელნო, უდინნო, ქისტნო, ჩეჩენნო, ლეკნო, ქურთნო, იეზიდნო და ყოველნო მკვიდრნო ივერიისა და უცხოეთში მცხოვრებნო თანამემამულენო!

მაცხოვარი დღეს იმედით აღავსებს მთელ სამყაროს; თითოეულმა ჩვენგანმაც ვიქონიოთ სასოება იმისა, რომ: „დამიხსნის მე უფალი ყოველი ბოროტი საქმისაგან და მაცხონებს მე თავის ზეციურ სასუფეველში“.

ქრისტე აღდგა!

აღვდგეთ და ამიერიდან ჩვენც „წარვიდეთ სიკვდილისაგან ცხოვრებად, წარვიდეთ ხრწნილებისაგან უხრწნელებად, ბნელისაგან ნათლად, მონებისაგან თავისუფლებად, რათა ვიხაროთ ორსავ სოფელსა შინა, ამინ!

**თქვენთვის მლოცველი ილია II**
**სრულიად საქართველოს**
**კათოლიკოს-პატრიარქი.**
**თბილისი,**
**აღდგომა ქრისტესი, 2016 წელი**



# 9 მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღეა

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

მალე მოკავშირეებმა დაიკავეს მაროკო, ალჟირი, შეიჭრნენ ტუნისში. 1943 ზაფხულში მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს კუნძული სიცილია. სექტემბერს გადასხეს საზღვაო დესანტები აპენინის ნახევარ კუნძულზე (იტალიის კამპანია 1943-1945). საბჭოთა არმიის გამარჯვებები ხელს უწყობდა ევროპის ხალხთა ანტიფაშისტური ბრძოლის აღმავლობას.

1945 წლის თებერვალ-აპრილის I ნახევარში გაანადგურეს მტრის მსხვილი დაჯგუფებები აღმოსავლეთ პომერანიასა და სილეზიაში, გაათავისუფლეს ბალტიის ზღვის სანაპირო დანციგიდან ოდერამდე. გერმანიის წინააღმდეგ მოქმედების კოორდინაციისათვის და ევროპაში ომის შემდეგ წესრიგის დამყარების საკითხებთან დაკავშირებით 1945 წლის 4-11 თებერვალს იალტაში შედგა სსრკ-ის, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელთა კონფერენცია (ყირიმის კონფერენცია 1945).

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგობის უკანასკნელი ცენტრი ბერლინი იყო. 16 აპრილს დაიწყო გრანდიოზული ბერლინის ოპერაცია (1945). ჰიტლერისთვითმკვლელობის შემდეგ (30 აპრილი) ადმირალ დენიცის მეთაურობით შეიქმნა მთავრობა, რომელიც წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელებას ცდილობდა. 6-11 მაისს საბჭოთა არმიებმა ჩაატარეს პრაღის ოპერაცია (1945). ფართო ფრონტით შეტევის შედეგად საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა დაასრულეს ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთის ევროპის ქვეყნების გათავისუფლება. 4 მაისს ხელმოწერილ იქნა აქტი გერმანელთა ჯარების დანებების შესახებ ნიდერლანდში, ჩრდილოეთ-დასავლეთ გერმანიაში, შლეზვიგ-ჰოლშტაინსა და დანიაში. 5 მაისს დანებდნენ ფაშისტური ჯარები სამხრეთ და დასავლეთ ავსტრიაში, ბავარიაში, ტიროლში და სხვა რაიონებში. 8 მაისს, შუაღამისას საბჭოთა ჯარების მიერ დაკავებული კარლსჰორსტის გარეუბანში გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობის წარმომადგენლებმა ფელდმარშალ ვ. კაიტელის მეთაურობით ხელი მოაწერეს აქტს ფაშისტური გერმანიის შეიარეღებული ძალების უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ. უსიტყვო კაპიტულაცია საბჭოთა მთავრობის დავალებით მიიღო საბჭოთა კავშირის მარშალმა გ. ჟუკოვმა აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლებთან ერთად. ხოლო 9 მაისს საბჭოთა ჯარებმა გაანთავისუფლეს ქალაქი პრაღა.

აგრესიულ სახელმწიფოთა კოალიციიდან, რომელმაც მეორე მსოფლიო ომი გააჩაღა, 1945 მაისში ბრძოლას მხოლოდ იაპონია განაგრძობდა. 17 ივლისიდან — 2 აგვისტომდე შედგა სსრკ-ის (დელეგაციის მეთაური ი. სტალინი), აშშ-ის (დელეგაციის მეთაური ჰ. ტრუმენი) და დიდი ბრიტანეთის მთავრობათა მეთაურების პოტსდამის კონფერენცია, მიიღეს გადაწყვეტილება გერმანიის დემილიტარიზაციის, დენაციფიკაციისა და დემოკრატიული გარდაქმნის შესახებ. დიდი ბრიტანეთის, აშშ-ისა და ჩინეთის მთავრობებმა წაუყენეს იაპონიას კაპიტულაციის კონკრეტული პირობები, რომლებიც იაპონიის მთავრობამ უარყო, სსრკ-მა, რომელმაც 1945 აპრილში მოახდინა სსრკ-იაპონიის ნეიტრალიტეტის შესახებ პაქტის დენონსირება, დაადასტურა მზადყოფნა ჩაბმულიყო ომში იაპონიის წინააღმდეგ.

6 აგვისტოსა და 9 აგვისტოს აშშ-მა ატომური ბომბები ჩამოაგდო ჰიროსიმასა და ნაგასაკიში, რის შედეგადაც დაიხოცა და დასახიჩრდა 1/4 მლნ-მდე მშვიდობიანი მცხოვრები. 8 აგვისტოს სსრკ-მა ომი გამოუცხადა იაპონიას. 9 აგვისტოს საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს საომარი მოქმედება მანჯურიაში განლაგებული იაპონელთა კვანტუნის არმიის (1,2 მლნ. კაცი) წინააღმდეგ. 10 აგვისტოს იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩაება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაც. საბჭოთა ჯარებმა სწრაფი შეტევით მოკლე დროში გაანადგურეს კვანტუნის არმია და გაათავისუფლეს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ჩინეთის ნაწილი, ჩრდილოეთ კორეა, კუნძული სახალინი და კურილის კუნძულები. გათავისუფლებული მანჯურია ეკონომიკურად ჩინეთის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული რაიონი, გადაიქცა ჩინეთის რევ. ძალების საიმედო სამხედრო-სტრატეგიულ პლაცდარმად. სსრკ-ის ომში ჩაბმამ და კვანტუნის არმიის განადგურებამ დააჩქარა იაპონიის უსიტყვო კაპიტულაცია, რომლითაც 1945 წლის 2 სექტემბერს დასრულდა მეორე მსოფლიო ომი.

მეორე მსოფლიო ომმა უდიდესი გავლენა იქონია კაცობრიობის ბედზე. გერმანია, იტალია და იაპონია გამოეთიშნენ მსოფლიოს, როგორც ძლიერი სახელმწიფოები. ევროპაში გადამწყვეტი როლი აშშ-ს და მსოფლიოში ახლად გაბატონებულ სსრკ-ს ჰქონდათ მას შემდეგ, რაც 1940 გერმანიამ საფრანგეთი დაიპყრო, ხოლო დიდი ბრიტანეთი უძლური იყო, დაემარცხებინა გერმანია.





# რატომ ებრძვიან სტალინს

„ხოლო იესომ უთხრა მათ: არ არის წინასწარმეტყველი პატივის გარეშე, თუ არა თავის მამულში და თავის სახლში“ (მათე, 13,57).

სამოცდასამი წელი გავიდა მშრომელი ხალხის დიდი ქომაგისა და მოამაგის, ხალხთა კეთილდღეობისთვის უდიდესი მებრძოლის — ი. ბ. სტალინის გარდაცვალებიდან. მიუხედავად ასეთი დიდი დროის გასვლისა, გარკვეული ძალები ისე განაგრძობენ ბრძოლას მის წინააღმდეგ, თითქოს სტალინი ცოცხალია და მათ თავდაუზოგავად ებრძვის. ძალები, რომლებიც სტალინის წინააღმდეგ ილაშქრებენ და „ჯვარზე აკრავენ“ მას, მასონურ-სიონისტურ წრეს მიეკუთვნებიან. თავისი მოღვაწეობის წლებში სტალინმა ამ ძალებს უდიდესი დარტყმა მიაყენა; ახლაც, გარდაცვალების შემდეგ, შიშის ზარს სცემს მათ. ეს ძალები კი, პირადი კეთილდღეობის გარდა, არ ცნობენ სხვა ღირებულებებს და ყოველგვარი ხერხით ესწრაფვიან შავბნელი გეგმების განხორციელებას. ამ ძალებს მთავარ მოწინააღმდეგედ სოციალური სამართლიანობის იდეა და ამ იდეის მიღწევის გზების მოძღვრების არსებობა მიაჩნიათ. ისინი თვლიან, რომ მათი მთავარი მოწინააღმდეგე სტალინი და ქრისტიანული მართლმადიდებლური სარწმუნოება არის. მათ მახვილი, უპირველესად, სტალინის წინააღმდეგ აღმართეს და ახლა მართლმადიდებლობის წინააღმდეგ იწყებენ, მათი აზრით, გადამწყვეტ ბრძოლას.

ი. ბ. სტალინის სიცოცხლეში სტალინიზმზე არ ლაპარაკობდნენ, ხოლო როცა მისი გახმიანება დააპირეს, სტალინმა კატეგორიულად უარყო სტალინიზმის არსებობა და განაცხადა: არსებობს მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმი. მაგრამ ისტორიამ კორექტივი შეიტანა ამ საკითხში და დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ სტალინური სოციალიზმი — ესაა სტალინიზმის პრაქტიკულად განხორციელება — კაცობრიობის განვითარების, საყოველთაო მშვიდობისა და ქვეყნებს შორის ძმობა-მეგობრობის დამკვიდრების, მარქსიზმ-ლენინიზმის მართლმადიდებლურ-ქრისტიანულ სარწმუნოებასთან თანაცხოვრების გზა.

ახლა მოდადაა ქცეული სოციალიზმის გათანაბრება მასონურ-სიონისტურ მოძრაობასთან.

ადამიანთა გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ-ეკონომიკური სახელმწიფო სისტემა სტალინმა დამოუკიდებლად მოიფიქრა და გააკეთა, არ გამოუყენებია მარქსიზმი. ზოგს ამით სურს, სტალინის გენიალურობა აჩვენოს, ზოგს უნდა სტალინის მიერ აშენებული სოციალიზმი ანტიმარქსისტულ, ანტიადამიანურ მოდელად აჩვენოს და სტალინის დისკრედიტაცია მოახდინოს — დახატოს ის პარანოიკად, ველური ბუნების მქონე კაცად, რომელმაც უამრავი ადამიანი, პირადი ამბიციების გამო, კაცობრიობისთვის მიუღებელი ეკონომიკური სისტემის ქვეყნის აშენებისთვის გაჟლიტა. 1956 წელს ნ. ხრუშჩოვმა, პირწავარდნილმა ავანტიურისტმა და მოსულელო ელემენტმა, XX ყრილობაზე სტალინის პიროვნების კულტზე მოხსენების გაკეთების შემდეგ, საბჭოთა კავშირის მარშალს, თავდაცვის მინისტრის მოადგილეს კ. როკოსოვსკის სთხოვა, სტალინზე რაც შეიძლება მწვავე და მკვახე წერილი დაეწერა. ამაზე როკოსოვსკიმ უპასუხა: „ნიკიტა სერგის ძევ, ამხანაგი სტალინი ჩემთვის წმინდანია“ (ბორის სოლოვიოვი, ვლადიმერ სუხოდუევი, „უმაღლესი მთავარსარდალი — სტალინი“, 2002 წ., გვ. 182.).

სტალინის გენიალურობა მდგომარეობს მასში, რომ მან ღრმად შეისწავლა სოციალურად სამართლიანი ქვეყნის მშენებლობის თეორია, ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების საკითხი და პრაქტიკულად უზრუნველყო მშრომელი მასების ინტერესების გამომხატველი სახელმწიფოს აშენება.

როცა მარქსიზმზე, სოციალიზმის მშენებლობის თეორიაზე ვლაპარაკობთ, ეს არ ნიშნავს, რომ მარქსამდე არ ხდებოდა სოციალურად სამართლიანი ქვეყნის აშენების მოდელის ძებნა, თუმცა მარქსამდელი სოციალიზმი უტოპიად ითვლებოდა. მარქსმა და ენგელსმა კაცობრიობას უჩვენეს სოციალიზმის აშენების რევოლუციური, მეცნიერული, კლასობრივი ბრძოლის გამოცდილებით განზოგადებული გზა. დაამტკიცეს, რომ კაპიტალიზმი თვით ქმნის თავის მესაფლავე კლასს — პროლეტარიატს (მუშათა კლასს); გვიჩვენებს, რომ მუშები კლასობრივ ბრძოლაში დაამარცხებენ ბურჟუაზიას და ააგებენ სამართლიანობის დამამკვიდრებელ სახელმწიფოს.

მარქსის ეს წინასწარმეტყველება გაითვალისწინეს მსოფლიო ბატონობისკენ მიმავალმა ძალებმა და შექმნეს ე.წ. პოსტინდუსტრიული ქვეყნები, რაც ნიშნავს დედაქალაქებსა და დიდ ქალაქებში მუშათა კლასის მოსპობას. ისინი ასე ფიქრობენ წინააღმდეგობის ძალთა გაქრობას...

მარქსი და ენგელსი ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების საკითხს ვერ წინასწარმეტყველებდნენ, ლენინმა და სტალინმა კი ეს შესაძლებლად ჩათვალეს. ახალი სახელმწიფოს მშენებლობის მთელი სიმძიმე სტალინს დააწვა. გულუბრყვილობაა იმის მტკიცება, რომ სტალინს მარქსისა და ლენინის თეორიული შრომების გარეშე შეეძლო სოციალისტური სახელმწიფოს აშენება. „რომ აშენო, უნდა იცოდე, რომ იცოდე, უნდა ისწავლო“, — ამბობდა სტალინი. მან ისწავლა, თუ როგორ აეშენებინა სოციალურად სამართლიანი სახელმწიფო, თავის მხრივ განავრცო ეს მოძღვრება ისე, რომ ჩამოაცილა მასონურ-სიონისტური იდეების მატარებელი კოსმოპოლიტური იდეოლოგია — კოსმოპოლიტიზმი.

რუსეთში სოციალისტური რევოლუციის შედეგად მასონ-სიონისტებს, ტროცკის ხელმძღვანელობით, გათვალისწინებული ჰქონდათ რუსებისთვის რუსეთის წართმევა (ახლა ქართველებს საქართველოს ართმევენ!), მაგრამ სტალინმა ეს გეგმა ჩაშალა. მან სოციალიზმის მშენებლობის კოსმოპოლიტური იდეოლოგია ტროცკთან ერთად სანაგვეზე მოისროლა, უზრუნველყო ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება, დაამარცხა ფაშიზმი, შექმნა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური სახელმწიფო.

აი, ამას ვერ პატიობენ სტალინს გლობალისტებად გადანათლული კოსმოპოლიტები — მასონ-სიონისტები!

ინგლისის პრემიერ-მინისტრმა სტალინთან საუბარში დაახლოებით ასე თქვა: თქვენ მართლა კარგ ქვეყანას, ანგელოზების ქვეყანას, აშენებთ, მაგრამ ადამიანები ანგელოზები გახდებიან?

დიახ, მართალია, სტალინი აშენებდა რწმენაზე, მართლმადიდებლური რელიგიის მრავალ პოსტულატზე დაფუძნებულ სახელმწიფოს, რომელშიც ცხოვრება სამოთხედ ადამიანთა თავდადებული შრომით იქცეოდა, რომელშიც შრომა ყველა შრომისუნარიანი ადამიანისთვის სავალდებულოდ ითვლებოდა.

მასონ-სიონისტებსაც (თანამედროვე ამერიკული გლობალიზმის მომხრეებს) სურთ სოციალიზმის აშენება, მაგრამ მათი სოციალიზმი ძველი არისტოკრატიისა და სამეფო გვართა, ლორდებისა და გრაფების, ბანკირებისა და ოლიგარქების მსოფლიო-პოლიციურ სახელმწიფოში აშენებული სოციალიზმი იქნება, და სოციალიზმის სიკეთით ზემოთჩამოთვლილთა ოჯახები ისარგებლებენ, ხოლო „ოქროს მილიარდად“ ქცეულ მსოფლიოში მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი გახდება მომსახურე პერსონალი და პირუტყვთან გათანაბრებული ადამიანთა ჯგუფი.

სტალინური სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისთვისაა შექმნილი ყბადაღებული „დალესის დოქტრინა“. ეს ანტიადამიანური გეგმა კომუნისტების მონაჭორი ეგონათ, მაგრამ დღეს სახეზე გვაქვს ამ გეგმის განხორციელების მცდელობა. იგი ზედმიწევნით ხორციელდება არამარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

1917 წლის თებერვალში მასონ-სიონისტების რუსეთის განადგურების გეგმის ჩავარდნის შემდეგ, როცა ალექსანდრ კერენსკიმ (იგივე კირბის ადლერი), კრახი განიცადა, ასპარეზზე ლევ ტროცკი (ლეიბა ბრონშტეინი) გამოიყვანეს. მას მიზნად დაუსახეს: რუსეთის დაცლა რუსებისგან, მართლმადიდებლური რელიგიის, კულტურის, მეცნიერების, ინტელიგენციის განადგურება; რუსეთის გადაქცევა ნედლეულისა და იაფი მუშახელის მოპოვების წყაროდ. დავალების შესრულების მიზნით, იგი ბოლშევიკურ კომპარტიაში ჩანერგეს 1917 წლის აგვისტოში. ლენინის მეშვეობით ტროცკი ძალაუფლების ხელში აღებას იოლად ფიქრობდა, მაგრამ ვერ შეძლო — სტალინი გადაულახავ ბარიერად აღუდგა წინ. ტროცკის ბოლშევიკური პარტიის წევრობა არამარტო ძალაუფლების ასაღებად, არამედ ჭეშმარიტ ბოლშევიკ კომუნისტთა გასანადგურებლად, ბოლშევიკური პარტიისა და მეცნიერული სოციალიზმის დისკრედიტაციისთვის სჭირდებოდა. იგი იმ ჯგუფისა და კლასის ინტერესებს ითავისებდა, რომლის წიაღიდანაც იყო გამოსული.

1918 წელს კურსკში, პარტიული აქტივის წინაშე გამოსვლისას, ტროცკი ამბობდა: „თუ დღევანდელ დრომდე ჩვენ მიერ განადგურებულია ასეული და ათასეული, ახლა დადგა დრო შევქმნათ ორგანიზაცია, აპარატი, რომელიც შეძლებს ათეულ ათასების განადგურებას“.

ხალხის განადგურების ტროცკისტული გეგმა 1937 წლამდე წარმატებით ხორციელდებოდა იმ პირთა მიერ, რომლებიც ტროცკიმ სახელმწიფო აპარატში ჩანერგა მისი ზეობის პერიოდში. სტალინმა ტროცკისტული „წითელი ტერორის“ შეჩერება 1937-1938 წ.წ. შეძლო, მაგრამ ტროცკისტთა ავმა საქმეებმა ადამიანთა გარკვეულ ნაწილში ბოლშევიკების დისკრედიტაცია მოახდინა.

თანამედროვე გლობალისტები სტალინს ვერ პატიობენ ტროცკისტული ხროვის მარცხს, ვერ პატიობენ მართლმადიდებლური ქრისტიანული რელიგიის აღზევებისათვის საქმიანობას. 1919 წელს ტროცკიმ და მისმა ბანდამ 300 ათასზე მეტი მართლმადიდებელი ღვთის მსახური გაანადგურა, რის შესახებაც ტროცკი და რაკოვსკი კიევ-პეჩორის ლავრაში ტრაბახობდნენ. იუდაიზმის მიმდევრებმა, რომლებითაც სავსე იყო ჯერ რუსეთის საბჭოთა მთავრობა და შემდეგ სსრკ, ლენინის მხარდაჭერით ყველაფერი გააკეთეს, რათა მაქსიმალურად გაენადგურებინათ ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სარწმუნოების მსახურები. 1919 წ. 1 მაისის ბრძანებულებით, რომელიც გაეგზავნა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე ძერჟინსკის, ხელს აწერდნენ ცაკ-ის თავმჯდომარე კალინინი და სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლენინი. ბრძანებაში ეწერა: „ისინი (მღვდლები. — ვ. მ.) ყველგან უმოწყალოდ უნდა იყვნენ დახვრეტილი და რაც შეიძლება მეტი ეკლესია უნდა დაექვემდებაროს დაკეტვას. ტაძრები დალუქული და საწყობებად გამოყენებული უნდა იქნეს“.

მართლმადიდებლური სასულიეროგანათლებამიღებული სტალინი გულგრილი არ იყო ეკლესიის დევნისადმი. იგი კომპარტიის გენერალური მდივანი 1922 წელს გახდა. აქედან დაიწყო მან ტროცკისტებისთვის ლაგამის ამოდება და მორწმუნეთა დაცვა.

1923 წელს სტალინმა ორგბიუროს სახელით (პოლიტბიუროში ზინოვიევი და კამენევი ბატონობდნენ) ცირკულარი დააგზავნა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უწყებებში და მკაცრად მოითხოვა მორწმუნეებისადმი პატივისცემით მოპყრობა. 1924 წლის იანვარში ლენინი გარდაიცვალა. იმავე წლის აპრილში სტალინმა დაგმო ე.წ. ანტირელიგიური პროპაგანდის ხულიგნური გამოხდომები და განაცხადა, რომ იგი დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას. 1924 წლის ოქტომბერში სოფლის მეურნეობის პარტუჯრედების მდივნების თათბირზე ასევე მკაცრად დაიცვა მორწმუნეთა ინტერესები.

გაგრძელება მე-7 გვ. -ზე



# სტალინი რომ არ ყოფილიყო ქვეყნის სათავეში, ომს წავაგებდით, იგი იყო უდიდესი მოღვაწე, დიპლომატი და პოლიტიკოსი, უნიჭიერესი მხედართმთავარი

დიდ სამამულო ომს გადარჩენილ, უკვე თითზე ჩამოსათვლელ ადამიანებს დღეს უფრო მეტი გაფრთხილება და მოფერება სჭირდებათ. 71 წელი ხდება იმ ავადმოსაგონარი დღეებიდან, თითქოს თვალსა და ხელს შუა გაირბინა ამ წლებმა, თუმცა, რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, იმ დღეების მოგონებებს ყოველთვის სევდიანი განწყობა ექნება.

ყვარელში ორადორი სამამულო ომის მონაწილეა, — ბატონი მამია სანადირაძე და ბატონი დავით მეტრეველი. ეს ადამიანები თავგანწირვით იბრძოდნენ სამშობლოს განთავისუფლებისათვის. მათთვის 9 მაისი — ფაშიზმზე გამარჯვების დღე ყოველთვის სასიხარულოა და წლიდან წლამდე პატარა ბავშვებივით მის მოლოდინში არიან. მართალია ტყვიების ქარ-ცეცხლს გადაურჩნენ, მაგრამ მათ გულებში სამშობლოსთვის შეწირული მეგობრების მიერ მიყენებული ჭრილობა დღესაც არ ხორცდება. არ ივიწყებენ იმ პირტიტველა ბიჭებს, რომლებიც მოცელილებივით ეყარნენ ბრძოლის ველზე, სისხლისგან იცლებოდნენ და იმ გააფთრებულ ბრძოლაში მშველელიც არავინ ჰყავდათ, არ ივიწყებენ იმ მებრძოლებს, რომლებიც ცოცხლად იმარხებოდნენ იმ ალმოდებულ ზღვაში. დიდ ბრძოლა გამოვლილ მეომრებს პირადად შევხვდი, ერთხელ კიდევ მოვიკითხე, მივულოცე მათ გამარჯვების დღე — 9 მაისი და ვესაუბრე ომის თემაზე.

**— ბატონო მამია, რამდენი წლისამ აიღეთ ხელში იარაღი სამშობლოს დასაცავად, თუ იცოდით იარაღის ხმარება, რამდენად მზად იყავით პირტიტველა ბიჭი ბრძოლისთვის.**

— ვსწავლობდი ქალაქ თბილისის 24-ე საშუალო სკოლაში, რომელიც დავამთავრე 1941 წელს და დაიწყო კიდეც მეორე მსოფლიო ომი. მაშინ ამ პატარა ბიჭებს საიდან უნდა გვცოდნოდა იარაღის ხმარება. სკოლის ახალგაზრდობა გამოვცხადდით რაიონის კომისარიატში, რომ წავეყვანეთ ჯარში. რაიონის კომისარმა შეგვხედა, რომ ბავშვები ვიყავით, გამოგვრეკა კომისარიატიდან და გვითხრა — „თქვენი დროც დადგება“. 1942 წლის იანვარში კვლავ დავწერე განცხადება და გამოვცხადდი კომისარიატში, — კომკავშირელი ახალგაზრდა ვთხოულობდი მოხალისედ ჯარში წაყვანას. 1942 წლის იანვარში ჩამრიცხეს წვეულთა რიგებში. მახსოვს, 1942 წლის იანვრის თვე ძალიან თბილი იყო. საქართველოს წვეული ახალგაზრდობა, რომელიც თავს იყრიდა ნავთლუღში წვეულთა ბაზაზე, ჩაცმული იყო საზაფხულო ტანსაცმელში (კოსტიუმებში). გამომიძახა ჩემი რაიონის კომისარმა, წარმადგინა როგორც კომკავშირელი საქართველოს კომისართან, რომელმაც გადმომცა 200 მანეთი და მომცა მკაცრი დავალება, ჩემთვის მეყიდა თბილი ტანსაცმელი; ასევე დამავალა და გამაფრთხილა ყველა ჩემი რაიონის წვეული გამეფრთხილებინა, რომ შეეძინათ თბილი ტანსაცმელი, ეს უნდა მომხდარიყო უპანიკოდ. ეს დავალება პირნათლად იქნა შესრულებული. წვეული ახალგაზრდობა შეიმოსა თბილი ტანსაცმლით. საქართველოს კომისარმა გამოგვიცხადა, რომ წვეული ახალგაზრდობა მივდიოდით ფრონტზე, შორეულ აღმოსავლეთში. საღამოს ეშალონი (ვაგონები) დაიტვირთა და გავემგზავრეთ ბაქოს მიმართულებით. ეშალონი გაჩერდა. კასპიის ზღვის პირას გადმოგვსვეს გემში, გაგვაგზავნეს თურქმენეთში. იქიდან ვაგონებით ვიმოგზაურეთ შორეული აღმოსავლეთისაკენ. ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ თბილისის ვაგონი მოხსნეს ეშალონის შემადგენლობას ქალაქ ბირვიჯანში, ებრაელთა ავტონომიურ ოლქში. აქედან გადაგვიყვანეს ქალაქ ბავტოვში, სადაც მივიღეთ ფიცი. ფიცის მიღების შემდეგ განაწილებული ვიყავით ნაწილებში. მე როგორც საშუალო სკოლა დამთავრებული, ჩამრიცხეს პალკავოის სკოლაში, რომელიც მდებარეობდა პატარა ქალაქ ლენინსკოეში, საზღვრის პირას, მანჯურიის საზღვარზე. დავამთავრე პალკავოის სკოლა, მომენიჭა სერჟანტის წოდება და ჩამაბარეს ათეული. ვმსახურობდი სასაზღვრო დაცვაში (მესაზღვრედ), მდინარე ამურის პირას, მანჯურიის საზღვარზე, სადაც იდგა იაპონიის არმია კვანტუნის ხელმძღვანელობით. იყო შემთხვევები შპიონაჟის გადმოსვლისა საზღვარზე, განსაკუთრებით ზამთარში, მდინარე ამურის გაყინვის დროს ვიჭერდით მათ და ვაბარებდით ხელმძღვანელობას, რის გამოც ვიმსახურებდით მადლობას.

**— პირველი ქალაქი სადაც თქვენ მოგიწიათ ბრძოლა.**

— 1943 წლის სექტემბერში მოვიდა მოთხოვნა ფრონტზე გაგზავნისა, დავწერე განცხადება ორ ქართველთან ერთად, მეც გავემგზავრე ფრონტზე. ჩვენი ფრონტავოი ეშალონი ჩავიდა ქალაქ მოსკოვში, აქედან განაწილებული ვიყავით ფრონტზე. მე და ჩემი ორი ქართველი ნაწილთან ერთად მოვხვდით ბელორუსიის პირველ ფრონტზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა არმიის გენერალი, ორგზის გმირი კონსტანტინ კონსტანტინეს ძე როკოსოვსკი. შემდგომში კი მე და ჩემი ორი ქართველი მოვხვდით 65-ე არმიაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა გენერალ-პოლკოვნიკი, ორგზის გმირი, პავლე ივანიჩ ბატოვი. განაწილებული ვიყავი 667 მსროლელთა პოლკში. ჩამაბარეს პულიმიოტნიზოდ „მაქსიმა“. პირველი ბრძოლები მომიხდა ქ. გომელის სოფლებში. გომელის აღების შემდეგ ბრძოლები გაგრძელდა ქალაქ ბაბრუის, მინსკის მიმართულებით. ეს ბრძოლები მიდიოდა ოპერაცია „ბაგრატიონის“ სახელწოდებით, რომელიც ითვალისწინებდა ბელორუსიის და პოლონეთის განთავისუფლებას.

**— ამ წლების გადასახედიდან არც თუ ისე ცოტა დროა გასული. ამ ომმა რა დაღი დაასვა თქვენს ცხოვრებას.**

— 1944 წლის 2 თებერვალს ყოველთვის არასასიამოვნოდ ვიხსენებ ხოლმე, როდესაც მძიმედ დავიჭერი ქალაქ ბაბრუისკის აღების დროს, მარცხენა მკლავში და მარცხენა თეძოში. ჩემს გვერდით იბრძოდა ბატალიონის შტაბის უფროსი სტარში ლეიტენანტი. მისი ბრძანებით გამოყვანილი ვიყავი ფრონტიდან და ჩაბარებული სანიტარულ ჯგუფს. საღამოს დაჭრილები მანქანით გადმოყვანილი ვიქენით ქალაქ რეჩიტაში, სადაც ჩაგვიტარდა პირველადი საექიმო დახმარება. შემდგომ გადაგვიყვანეს ქალაქ ბრიანსკში მკურნალობისთვის. ბრიანსკიდან მძიმედ დაჭრილები გადაყვანილი ვიყავით ქალაქ გორკში.

1944 წლის მაისში ქალაქ გორკის ევაკო ჰოსპიტალის კომისიის მიერ განთავისუფლებული ვიქენი, ჩამოვედი საქართველოში. დავიწყე მკურნალობა და ერთდროულად საგამოცდო მზადება. ჩავაბარე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღე-მევენახეობის ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე1948 წლის დეკემბერში, განაწილებული ვიყავი ყვარლის რაიონში, სადაც ცხოვრობდნენ ჩემი მშობლები. დღემდე ვცხოვრობ ყვარელში. იგი არის ჩემი სამშობლო. შევქმენი ოჯახი, მყავს ხუთი შვილი, 14 შვილიშვილი და 15 შვილთაშვილი. ბოლო ომში მიღებულმა ჭრილობებმა გავლენა იქონია ჩემს ჯანმრთელობაზე, მაგრამ ჯერ-ჯერობით ღმერთის წყალობით ვცოცხლობ.

**— იმ გააფთრებულ ბრძოლაში მაინც არ წყდებოდა მეომრების ყიჟინა და იყო შეძახილები „სამშობლოსათვის, სტალინისათვის“, ვინ იყო თქვენთვის, ხალხისთვის სტალინი, რამდენად გჯეროდათ მისი.**

— სტალინის როლი ომის პერიოდში დიდი იყო. სტალინი რომ არ ყოფილიყო ქვეყნის სათავეში, ომს წავაგებდით, იგი იყო უდიდესი მოღვაწე, დიპლომატი და პოლიტიკოსი, უნიჭიერესი მხედართმთავარი. საბჭოთა ქვეყნის უდიდესი მარშლები, გენერლები როგორებიც იყვნენ ჟუკოვი, როკოსოვსკი, მარნოვსკი, კონევი და სხვები მას აფასებდნენ უდიდეს სარდლად, ხელმძღვანელად. იგი იყო ორგზის გმირი, უდიდესი მოღვაწე და სარდალი, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა გენერალ-სიმუსის წოდება. გააფთრებული ბრძოლების დროს ხშირად იყო შეძახილები „ზა როდინუ, ზა სტალინუ“, რაც უფრო მეტ ბრძოლისუნარიანობას მატებდა ჯარისკაცებს. მე პირადად გააფთრებული ბრძოლების დროს მქონია შემთხვევები, რომ გამიყვანია ოცეული შეტევაზე ამ ლუზუნგით და იქიდან ყოველთვის გამარჯვებულები გამოვსულვართ, რისთვისაც მიმიღია უფროსების მადლობაც და პირადად დიდი სტალინის სამადლობელი წერილი ბელორუსიის მეორე ფრონტზე მიღებული ბრძოლისთვის, რომლითაც ვამაყობ და ჩარჩოში ჩასმული დღესაც კედელზე მიკიდია.

**— ომიდან დაბრუნების შემდგომ თუ იყო თქვენს ცხოვრებაში ყველაზე სასიამოვნო დღეები, ან წლები.**

— მე როგორც სამამულო ომის მინაწილეს, ჩემს ცხოვრებაში მქონია სასიამოვნო წლები. დავამთავრე ინსტიტუტი, დავიწყე მუშაობა, შევქმენი ოჯახი, შემეძინა შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები. დღეს ეს ყველაფერი სასიამოვნოა ჩემთვის.

**— თქვენი საბრძოლო მედლები, რომლებსაც დღესაც სათუთად ინახავთ.**

— მიღებული მაქვს უამრავი ჯილდო და მედალი დამსახურებისათვის. თვითეულს არ ჩამოვთვლი, ამას ჩვენი გაზეთის მკითხველი თავად ჩემი სურათიდან შეიტყობს. ეს მედლები ჩემი ცხოვრების სიამაყეა, რომელთა შეხედვის დროსაც მძიმედ, მაგრამ მაინც ხშირად მაბრუნებს იმ დროსა თუ ეპოქაში.

**— რამდენად ზრუნავს სახელმწიფო, რაიონი თქვენზე და რამდენად ხართ კმაყოფილი, როგორც ომის მონაწილე, თუ სარგებლობთ რაიმე შეღავათებით.**

— ცხოვრება გრძელდება, შემისრულდა 95 წელი, ვარ მეორე ჯგუფის სამამულო ომის ინვალიდი, პენსიონერი. პენსიაზე მერიცხება 44 ლარი დამატებით, ალბათ დახმარების სახით. გასულ საიუბილეო წელს პრემიერ მინისტრის, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის მიერ დახმარების სახით მივიღე 1000 ლარი, ყვარლის გამგეობის მიერ 100 ლარი. რისთვისაც ულრმესი მადლობა მათ.

**— უკვე 95 წელს მიღწეული რას საქმიანობს ბატონი მამია?**

— დღესდღეობით ჩემს „საქმიანობაში“ შედის ის, რომ ვარ ჩემს დიდ ოჯახთან ერთად, უკვე რომ იტყვიან, ღრმად მოხუცებული და ვტკბები როგორც ვთქვი 5 შვილის, 14 შვილშვილის და 15 შვილთაშვილის ცქერითა და სიყვარულით.

**— ბატონო მამია, ერთხელ კიდევ გილოცავთ ამ დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს. სამომავლოდ რას ისურვებდით?**

— სიკვდილი არავის უნდა, მიუხედავად ხანდაზმულობისა, არც მე არ მინდა, იქაურ ცხოვრებას აქაური მირჩევნია, ჩემს ეზო-ყურეში სიარული მირჩევნია, ყოველ დილა-საღამოს რომ შემოივლი და მოეფერები შენს დარგულ ხე-მცენარეებს. მაგრამ გულში ნათქვამი — რა დრო გასულა, ყოველთვის სევდიანად განგაწყობს ადამიანს. სიცოცხლეს და 9 მაისს გაუმარჯოს ამ ქვეყანაზე.

# უკვე მეასე წელში გადავდექი, ათი წლის წინ დიდი შემართებით ვიყავი, მაგრამ დღეს შეშის დაჭრის მეტი აღარაფერი შემიძლია



**— ბატონო დავით, აგერ უკვე 71 წელია, რაც მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა და თქვენც უკვე საუკუნე გამოვლილი 99 წელს მიღწეული ნაფრონტალი ჯარისკაცი 71-ჯერ ზეიმობთ გამარჯვების დღეს — 9 მაისს. რას ნიშნავს თქვენთვის ეს დღე და როგორი განწყობით ხვდებით?**

— ეს სასიხარულო დღე — 9 მაისი ისევ ისეთი სასიხარულოა, როგორც 71 წლის წინ იყო. ამ დღეს ყოველთვის სიხარულით მოველი და მაისი რომ დადგება, ყოველთვის ვკითხულობ ჩემი დღე — 9 მაისი ხომ არ მოვიდა? სამი წელი თელავის სამხედრო ტექნიკუმში ვისწავლე, სამი წელი ჯარში ვიმსახურე და შემდეგ დიდ სამამულო ომში გამიწვიეს. ვინც არ ყოფილა ომში, არ გამოუცდია ტანჯვა, სიცივე, შიში, შიმშილი, ამ გამარჯვების სიდიადეს ვერ მიხვდება.

**— თქვენი საბრძოლო მოგონებებიდან კიდევ რას გაიხსენებდით, სად, რომელ ფრონტზე მოგიწიათ პირველად მტერთან შებრძოლება?**

— საუკუნეს მიტანებული კაცი ვარ და მიჭირს ყელაფრის გახსენება, ჩემი საბრძოლო ნათლობა ჩრდილო კავკასიის ფრონტზე მოხდა, ვმეთაურობდი ოცეულს, შემდეგ ასეულს და ჩემი ეს თანამდებობა უფრო მეტს მავალებდა, ვიდრე რიგით ჯარისკაცს. „კავკასიის დაცვისათვის“ მივიღე მედალი და ამან უფრო თავგანწირული ბრძოლისკენ მიბიძგა. ბრძოლით მოვიარე რუსეთის ქალაქები უკრაინა, მონღოლეთი.

**— თუ იყო შემთხვევა სიკვდილს თვალებში ჩაუხედავს და უფლის წყალობით გადარჩენილხართ.**

— უკრაინაში დავიჭერი და კარგა ხანს ჰოსპიტალში გავატარე, საბედნიეროდ ჭრილობა არ იყო ჯანმრთელობისთვის საზიანო და დავუბრუნდი ფრონტს. მძიმე ბრძოლებით გამოვიარეთ ნოვოროსიისკი, სადაც ტყვიები წვიმასავით მოდიოდა. ერთ-ერთი შეტევის დროს მძიმედ დავიჭერი, მარცხენა მხარი გამიგლიჯა ტყვიამ, არ მახსოვდა არაფერი. ოპერაციის შემდეგ, თვალი რომ გავახილე, არ ვიცოდი სად ვიყავი. მაშინ პირველად ჩავხედე სიკვდილს თვალებში.

**— ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ, უკვე მე-100 წელს მიღწეული, როგორ გრძნობთ თავს, რამდენად შემართულია დღეს მეორე მსოფლიო ომს გამოვლილი, ბატონი დავით მეტრეველი?**

— უკვე მეასე წელში გადავდექი, ათი წლის წინ დიდი შემართებით ვიყავი, მაგრამ დღეს შეშის დაჭრის მეტი აღარაფერი შემიძლია. აქამდე ყოველი დღე დაგეგმილი მქონდა რა მეკეთებინა, დღეს თითქმის უსაქმოდ ვარ და უფრო მეტად წიგნის კითხვით ვირთობ თავს.

**— იქ მიღებული ჭრილობები კიდევ თუ შეგახსენებთ ხოლმე თავს?**

— მარცხენა მხარში ისეთი ჭრილობა მივიღე ომში, რომ მარხცენა ხელის ხმარება დღესაც მიჭირს და ტკივილი თავს მახსენებს.

**— ომში გამოჩენილი მამაცობისთვის მიღებულ საბრძოლო მედლებზე რას გვეტყოდით?**

— ომში მიღებული მაქვს დიდი სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენი, მედლები კავკასიის დაცვისთვის, მედალი მამაცობისთვის, მედალი გერმანიაზე გამარჯვებისათვის, მედალი ჩვენი სამშობლოსათვის ბრძოლის, მედალი საბჭოთა შეიარაღებული ძალების სტალინის გამოსახულებით კეთილსინდისიერი ბრძოლისათვის დიდ სამამულო ომში, მაქვს საიუბილეო მედლები. ასე, რომ მედლები ბევრი მაქვს მაგრამ არასოდეს მკერდზე არ დამიბნევია. რატომ, არ ვიცი.

**— ჩვენი მთავრობის მხრიდან ამ წლების განმავლობაში როგორ დაფასდა და ფასდება თქვენი ღვაწლი სამშობლოს წინაშე.**

— სიმართლე გითხრათ, ჩვენი მთავრობისგან და ადგილობრივი რაიონის ხელმძღვანელობისაგან, ქალაქის მერისგან ყოველთვის დიდ ყურადღებას და პატივისცემას ვგრძნობდი, განსაკუთრებით კი 9 მაისის დღესასწაულზე მათგან ხშირად ვიღებდი მოლოცვას და სოციალურ ფულად ჯილდოს.

გულისტკივილით გავიხსენებ შევარდნაძის მთავრობას. მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე ნაგროვები საკმაოდ დიდი თანხა სალაროში „გამიფუჭდა“, დღემდე ეს იმ მთავრობის გამოუსწორებელ შეცდომად მიმაჩნია.

**— ბატონო დავით, ამჟამად შრომისუნარიანი თუ ხართ, თუ შეგიძლიათ რაიმე ფიზიკური საქმის კეთება?**

— ამჟამად შრომის უნარი დაქვეითებული მაქვს, დავდივარ ხშირად, რომ ენერგია მქონდეს. ოჯახიდან დიდი ხელშეწყობა მაქვს. ჩემი დილა ერთი ჭიქა არყით იწყება, დღეში ორ-სამ ჭიქა ღვინოს ვსვამ. მთელი სიცოცხლე ასე გავატარე, უღვინოდ არ შემიძლია პურის ჭამა.

**— როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საუკუნის სიცოცხლეს ცოტა დროღა გაშორებთ. როგორი იყო თქვენთვის ერთსაუკუნოვანი ცხოვრება. როგორც ვხედავთ ბრძოლაგამოვლილს ვერანაირი ავადმყოფობა ვერ მოგერიათ და დღეს ჯანმრთელად გამოიყურებით. ღმერთმა კვლავ დიდხანს გაცოცხლოთ და რას იტყვით თქვენს თავზე, რა შინაარსის არის თქვენთვის განვლილი ცხოვრება შვილის დაკარგვამდე?**

— შვილის დაკარგვამდე დიდი ტანჯული ცხოვრება გამოვიარე, ჩემმა 17 წლის ბიჭმა რეზო მეტრეველმა თბილისში იურიდიულზე შეიტანა საბუთები. ჩამოვიდა ყვარელში, ჩამოვარდა კაკლის ხიდან და ჩემი ბედნიერი ოჯახის ყველა იმედი და ოცნება ერთ წამში დაამსხვრია. იმის შემდეგ 54 წელი პირველი ჯგუფის ინვალიდმა კვლავ უარესი ტანჯული ცხოვრება გამოვიარე და ჩვენს ცხოვრებას აზრიც დაუკარგა და შინაარსიც. ეს რომ არ მომხდარიყო, ალბათ მე არანაირი დარდი და ავადმყოფობა არ მომერეოდა.

**— გილოცავთ ამ დღეს, ბატონო დავით და სიცოცხლე და ცხოვრება გრძელდება, ახლა რაზე ფიქრობს ბატონი დავითი, თქვენი საოცნებო სურვილები.**

— ახლა ჩემი ცხოვრების დაისს ვუახლოვდები. ჩემი საოცნებო სურვილებია იყოს მშვიდობა, ჩემს საქართველოს ვუსურვებ გამთლიანებას, ხოლო ჩემს შვილებს, შვილიშვილებს — გაბრწყინებულ საქართველოში ცხოვრებას. გისურვებთ 100 წლისას კვლავ გეზეიმოთ თქვენთვის ყველაზე საყვარელი დღე — 9 მაისი.

**ესაუბრათ დალი ტატულიშვილი**

# პატივი ეცი მამულსა შენსა!

ე. შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში, მიწის საყოველთაო ერთწლიანი რაღაც ფიქსირებული გადასახადი არსებობდა, თუმცა ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში მინიმალური პროცენტი თუ აღწევდა, დანარჩენი კი ადგილობრივი რაიონის და სოფლების ეგრეთწოდებული გამგებლების ჯიბეებში ილექებოდა.

ნაციონალური მოძრაობის და მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის პირველ თუ მეორე წელს, ადრეულ გაზაფხულზე, მიღებულ იქნა სრულიად არასერიოზული და არასამართლიანი დადგენილება იმის შესახებ, რომ 1992 წლიდან დაწყებული 2004 წლამდე პრივატიზირებული 5 ჰა-მდე, სახნავ-სათესი და მრავალწლიანი ნარგავების ნაკვეთებზე მიწის გადასახადის გაუქმების შესახებ.

ე. ი. გლეხთა კომლები, წვრილი თუ მცირე ფერმერები, რომელთაც 5 ჰა-ზე მეტი მიწის ფართი არ გააჩნდათ საკუთრებაში, სრულიად თავისუფლდებოდნენ მიწის გადასახადისაგან, 2004 წლის გაზაფხულიდან კი ნასყიდლობით შეძენილი მიწის (მრავალწლოვანი თუ ერთწლოვანი) სასოფლო—სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთების წლიური ფიქსირებული გადასახადი ამოქმედდა.

კახეთის რეგიონში (და არა მარტო კახეთის) სოფლის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი 5 ჰა-ზე მეტ მიწის ფართობს (როგორც სახნავ-სათესს, ისევე მრავალწლოვანს) ფლობს, მაგრამ ამას მხოლოდ 5 ჰა აქვს გაფორმებული. სოფლად ცხოვრობენ ის მცირე ფერმერები, რომლებიც 10-12 ჰა-ს და ზოგჯერ მეტ ფართობს ფლობენ და სარგებლობენ ამ ფართობებით, ამავე დროს ისინი არ ცხოვრობენ ხელმოკლედ, ჰყავთ მსუბუქი კომფორტაბელური მანქანები, მათ გააჩნიათ აგრეთვე სატვირთო მანქანები და ტრაქტორები, შესაბამისი სათავსოები, საქონლის ფერმები და სხვა.

გლეხთა კატეგორიებშიც არიან ისეთნი, რომლებსაც ასე თუ ისე, შეუძლიათ, რომ მიწა დაამუშაონ, მაგრამ წლებია, რომ ამას არ აკეთებენ, მათგან მოდის ასეთი განმარტება: იცით რა, მე არ მიჭირს ისე, რათა მიწა გავყიდო და არც მინდა, რომ ხარჯები გავილო მის დასამუშავებლად. ასევე ცხადია ცხოვრობენ სოფლად ნაწილი გლეხების, რომელთაც მართლაც სურვილი აქვთ, რომ ხვნა-თესვა ჩაატარონ, მაგრამ მატერიალურად ხელმოკლედ არიან და მიწაზე სამუშაოებს ვერ ჩაატარებენ, თუმცა არიან გლეხთა ის ოჯახებიც, რომლებიც მიწას არ ამუშავებენ საკუთარი სიზარმაცის გამო.

და როცა ამოქმედდება მიწის საყოველთაო წლიური ფიქსირებული გადასახადი, მაშინ ისინი იძულებულნი იქნებიან ან დაამუშაონ მიწის ნაკვეთი, ანდა თუ ამას ვერ შეძლებენ, მაშინ სხვას მიყიდიან, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მეწველ ძროხას დაემსგავსებიან გადატანითი მნიშვნელობით და იმ გაგებით, რომ მიწის ქირას იხდიდეს და მიწას ვერ, ან არ ამუშავებდეს.

აი, სწორედ სააკაშვილის ამ უაზრო დადგენილებამ (თუ ბრძანებულებამ) მოსპო ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა საკმაო სოლიდური თანხების მოზიდვა. მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს მიწის საყოველთაო წლიური გადასახადის შემოღებამდე სოციალურად დაუცველი ადამიანების, აგრეთვე მარჩენალ-დაკარგულები, მათზე აუცილებლად უნდა დაწესდეს განსაზღვრული შეღავათები.

საერთოდ კი ურჩ გადამხდელებზე (რომლებიც დავუშვათ პირველ წელიწადს ვერ გადაიხდიან, მეორე წელიწადს მაინც უნდა დაფარონ გადასახადი სრულად), მთავრობამ უნდა აამოქმედოს რაღაც ზეწოლის ბერკეტები და პრინციპები (ცხადია ამას მოფიქრებაც სჭირდება), უნდა გამოიძებნოს მიწის გადასახადის ამოღებისათვის შესაბამისი მეთოდები და ხერხები.

ერთხელ და სამუდამოდ, განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობამ, უნდა ისწავლოს და იცოდეს, რომ თუ იხდის ელექტროენერგიის, გაზის და წყლის გადასახადს, ნება იბოძოს პატივი სცეს მიწას და მიწის გადასახადიც უნდა გადაიხადოს. სწორედ ეს იქნება საკუთარი სოფლის მიწა-წყლის ყველაზე დიდი პატივისცემა.

ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში კი შემოსული თანხები უნდა მოხმარდეს სოფლის ინფრასტრუქტურას. (სოფელი წალეკა ყოველ ათ მეტრში დაყრილმა ნაგვის გროვებმა) ელემენტარულ დონეზე 21-ე საუკუნეში ჩვენ სოფლად არა გვაქვს ნაგავსაყრელები, უმოქმედოა კულტსახლები, რომლებსაც რემონტი ესაჭიროებათ (ზოგიერთს კაპიტალურიც), არადა სოფლის ახალგაზრდობა საღამოს სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს რომ დაესწრნენ, ეს კარგი საშუალება იქნებოდა მათი ინტელექტის გაღრმავებისათვის.

ცენტრალური ბიუჯეტიდან გადმორიცხული თანხები სოფლის მისამართით არ არის საკმარისი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის, ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდანაც თუ დაემატებოდა რაღაც განსაზღვრული თანხები, სრულიად შესაძლებელი იქნებოდა სარწყავ-სასმელი სისტემების საშუალო დონეზე მოწყობა მაინც.

პრეზიდენტ ე. შევარდნაძის მოღვაწეობის პერიოდში საქართველოს სოფლის მოსახლეობამ (და არა მარტო სოფლის) მიწის პრივატიზაციის მტკიცებულების ფურცელი მიიღო. იმჟამინდელმა კორუმპირებულმა ხელისუფლებამ და მთავრობამ ასე თუ ისე, შეძლო უფასოდ გადაეცა მიწა მოსახლეობისათვის.

მოგეხსენებათ, რომ სოფლის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს შესამჩნევად უჭირს, ამიტომ მათ ძალზე გაუჭირდებათ საკუთარი ოჯახიდან ფულადი თანხების მოძიება, რათა საჯარო რეესტრში გაატარონ თავისივე მიწის ნაკვეთები.

გარდა ამისა, ხაზგასასმელია ისიც, რომ გლეხს თუ წვრილ ფერმერს (ასეთებიც საკმაოდ ბევრია), სოფლის სხვადასხვა ადგილმდებარეობაში აქვს მიკუთვნებული მიწის ნაკვეთი. ავიღოთ პირობითად (თუ გინდ კონკრეტულად კახეთის ან ქართლის რეგიონი), სადაც 0,5 ჰა სახნავ-სათესი, ხოლო მეორე ადგილას კი 0,75-1,0 ჰა ვენახის ფართობი რეესტრში რომ გაატაროს, მას უნდა ცალ-ცალკე აზომვითი ნახაზები და დაფიქსირება. ამას კი მინიმუმ 150-160 ლარი სჭირდება. კიდევ ვიმეორებ, ამ თანხის გადახდას ბევრი ვერ შეძლებს, ზოგიც პენსიონერია, სოციალურად გაჭირვებული, მარჩენალ დაკარგული და სხვა. ამასთან, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ შედარებით შეძლებული ფერმერი, რომელსაც, დავუშვათ, ერთ ადგილმდებარეობაში კონცენტრირებული 10-15 ჰა მიწის ნაკვეთი აქვს, რეესტრში გატარების ხარჯებს იგივე 50 ლარს იხდის (აზომვითი ნახაზის ღირებულების გარდა).

ყველაფრის გათვალისწინებით, მინდა ჩემი თვალსაზრისი ჩამოვაყალიბო შემდეგნაირად: 5 ჰა-ს მფლობელი მოსახლე (თუნდაც მას მიწის ნაკვეთები სხვადასხვა ადგილას ჰქონდეს გაფანტული) აზომვითი ნახაზის ღირებულების გარდა, რეესტრში უნდა იხდიდეს მხოლოდ 50 ლარს, 5-10 ჰა ფართის მფლობელი — 100 ლარს, 15 ჰა და უფრო მეტი ფართის მფლობელი — 150 ლარს და ა.შ. ანუ ყოველ 5 ჰა-ზე რეესტრში გადასახადი თანხის რაოდენობა 50 ლარით უნდა იზრდებოდეს. დღეს, 21-ე საუკუნეში, მთავრობამ რადაც არ უნდა დაუჯდეს, უნდა აღნუსხოს 1992-2004 წლებში პრივატიზირებული და რეესტრში არ გატარებული მიწის ნაკვეთები. ამ ყველაფრისათვის უნდა გამოიძებნოს საკმარისი ფინანსები, რათა რეესტრამდე მივიდეს ეს საშვილიშვილო საქმე.

შესაძლოა ამას ახალი რუქების შედგენა დასჭირდეს. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ 1992 წლიდან რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველო სოციალური აფეთქების საფრთხის წინაშე იდგა. ცხადია, მაშინდელი ხელისუფლება და მთავრობა ცაიტნოტში იყო და ამიტომაც მიწების განაწილება სწრაფად, არაორგანიზებულად და ქაოსურად მოხდა.

როგორც პროფესორი, ბ-ნი პ. კოღუაშვილი ამბობს, თუ მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა ხელმეორედ დაზუსტდება, შედგება ახალი შესაბამისი რუქები და ნახაზები (რაც ადვილად გასაკეთებელი საქმე არ არის) ეს ნამდვილად წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

აი, ამის შემდეგ უნდა მიიღოს მთავრობამ დადგენილება მიწის საყოველთაო ფიქსირებული წლიური გადასახადის შესახებ. უნდა გაუქმდეს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების ყოვლად გაუგებარი და უაზრო გადაწყვეტილება, რომ 1992-2004 წლებში პრივატიზებული 5 ჰა-ზე ნაკლები ფართობის მქონე მიწის მფლობელებს სოფლად (და არა მარტო სოფლად) ათავისუფლებდა გადასახადისაგან.

ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული სამუშაოების ჩატარების შემდეგ თუ ამოქმედდება დადგენილება მიწის ერთიანი ფიქსირებული წლიური გადასახადის შესახებ (შეღავათებით სოციალურად დაუცველ და მარტოხელებზე და სხვა) განსაზღვრული ფინანსებით შეივსება ადგილობრივი ბიუჯეტი, რაც დაეხმარება სოფლის მეურნეობის გაჯანსაღების დაწყებულ პროცესს.

**პ. ასაბაშვილი**

# 14 მაისს, სრულიად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია წმიდა თამარ მეფის ხსენების დღეს აღნიშნავს



ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ თამარ მეფე წმიდანად შერაცხა. 14 მაისს მისი ხსენების დღე 1917 წლიდან, საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ ყოველწლიურად აღინიშნება.

წმინდა თამარი იყო პირმშო ასული გიორგი III-ის და ოვსთა მეფის ხუდანის ასულის, ბურდუხანისა. ერთხანს ცოლქმარს შვილი არ ეძლეოდათ, რის გამოც ძალიან წუხდნენ. მაგრამ „ინება ზეგარდამო მოწყალებამან ღმრთისამან და ინება მობერვად ნიავმან ამომან, და იშუა მათგან ქალი, ქმნულ-კეთილი, ყოვლითურთ უნაკლულო და შესატყჳსი“ — წმინდა თამარი (1166). იგი იმ დროისათვის სათანადო აღზრდა-განათლებას იღებდა. მასზე განსაკუთრებულად ზრუნავდა მამიდა, ხორასნის სულთნის ცოლყოფილი რუსუდანი, რომელიც დაქვრივების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა. იგი პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატიც იყო და აქტიურად მონაწილეობდა სახელმწიფოს მართვა-განმგეობაში; თამარი თავის უმცროს დასთან — რუსუდანთან ერთად ძირითადად მამიდის კარზე იზრდებოდა. (თამარის და შემდგომში გაათხოვეს ოს უფლისწულზე, ისიც მალე დაქვრივდა და სამშობლოში დაბრუნდა).

თამარი მცირე ასაკის მიუხედავად გამოირჩეოდა „გონებითა არა ყრმებრივჳთა, არამედ მეცნიერითა, ცნობიერითა, გონიერითა და შუენიერითა“. ამიტომ ორბელთა აჯანყების ჩახშობის შემდეგ, 1179 წელს გიორგი III-მ თამარი თანამმართველად გაიხადა. დიდებულებმა ფიცი დადეს მის ერთგულებაზე და მუხლი მოიყარეს 12 წლის მონარქის წინაშე, რომლისათვისაც განგებას ერის წინამძღოლობისა მძიმე ჯვარი ებოძებინა. მამა-შვილის ერთობლივი მმართველობა დიდხანს არ გაგრძელებულა, ვინაიდან 1184 წლის 27 მარტს, ვნების კვირის სამშაბათს, გიორგი III კახეთში გარდაიცვალა. თამარს თბილისში, ისნის ციხეში შეატყობინეს მამის გარდაცვალება. დიდი მწუხარებით დაიტირა სრულიად საქართველომ თავისი ძლევამოსილი მეფე გიორგი III „ჟამისა სიძნელისაგან“ მცხეთაში დაუკრძალავთ და იმავე წელს მეფეთა ტრადიციულ სავანეში — გელათში გადაუსვენებიათ.

ქალის ტახტზე აყვანა, არა მარტო მაჰმადიანური, ქრისტიანული სამყაროსთჳსაც უჩვეულო ამბავი გახლდათ. მაგრამ თამარის მომხრეებს საქართველოში ურყევი საბუთები უმაგრებდა ზურგს: საქართველო იყო ღმრთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, რომელიც ქალმა გაანათლა, და სადაც ოდითგანვე ეთაყვანებოდნენ ქალს, როგორც სიცოცხლისა და სიკეთის წყაროს.

წმინდა თამარი იყო საკვირველად თავმდაბალი, გულმოწყალე და დიდსულოვნურად შემწყნარებელი, მოსაუბრე „სიტყჳთა ოქრონექტარითა“. მისი სიტყვა იყო „ტკბილი და ძჳრუჴსენებელი“, ხოლო ზნეობა მისი იყო უსპეტაკესი და უსათნოესი. იგი იყო „სანთელი გონიერთა და უგუნურთა, პირველთა განმანათლებელ და მეორეთა დამწველი. ალვირი იყო უწესოდ მკრთომელთა და დეზ-უდებთათჳს; კანონი სირცხჳლისა მოხუცებულთა და კუერთხი რკინისა ჭაბუკთათჳს“. თამარი გარეგნობითაც „ქმნილ-კეთილი“ და „ყოვლითურთ უნაკლო“ ყოფილა. მისი ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოძღვარი დიდებულ გვირგვინოსანს ასე ახასიათებს: „ტანსა ზომიერსა გრემანობა, თუალთა და ღაწუთა სპეტაკთა ზედა ვარდებრივ ფეროვანება, მორცხჳვ ხედვაჲ, ლალი მიმოხედვა, ტკბილი პირი, მხიარული და ულიზრო სიტყჳს სინარნარე“. იგი ქვეყნის მმართველობის უშუალო მონაწილე იყო მამის სიცოცხლეშივე და კარგად ერკვეოდა საქართველოს საშინაო და საგარეო საკითხებში. მან მცირე ასაკის მიუხედავად კარგად იცოდა დიდგვაროვანთა, გლახაკ-მეკობრეთა, ვაჭარ-ხელოსანთა, მდაბიო-მოლაშქრეთა, ბარისა და მთიულეთის გლეხთა მისწრაფებანი. დიდი ივანე ჯავახიშვილი, როდესაც თამარის მოღვაწეობას აჯამებს, აღნიშნავს: ქართველი ერისთვის მაშინაც და შემდეგაც, თამარის სახელი იმიტომ იყო სათაყვანებელი, რომ, „ზესთაბუნებრივის ძალით მასში გაერთიანებული იყო ქალის მომხიბლავი მშვენიერება და ვაჟკაცური მამაცობა, სახელმწიფო მოღვაწის სიბრძნე და უმანკო, ყოვლად მოწყალე, განურისხებელი გული.

ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო წყობილებისთვის დამახასიათებელი იყო მეფის სათათბირო ორგანო ე. წ. „დარბაზი“ აქ მეფე სხვადასხვა სახელმწიფოებრივ საკითხებზე ეთათბირებოდა საერო და სასულიერო წოდებათა მაღალი თანამდებობის წარმომადგენლებს. მაგრამ „დარბაზობის“ მოწვევა, ე.ი. „დარბაზის ერის“ შეკრება უფრო მეტად საჭიროების შემთხვევაში ხდებოდა და მისი მოწვევაც ძირითადად მეფის სურვილზე იყო დამოკიდებული.

მეფედ კურთხევისთანავე მეჭურჭლეთუხუცესმა ყუთლუ-არსლანმა, რომელიც ამირსპასალარობას ესწრაფვოდა, თამარს წაუყენა ულტიმატუმი — გადაეყენებინა უგვარო მოხელენი და ისანში, მეფის სასახლის მახლობლად დაეარსებინა მართვა-განმგეობის საგანგებო დაწესებულება — „კარავი“. ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის მიერ წამოყენებული პროგრამის მიხედვით „კარავი“ „დარბაზისაგან“ განსხვავებით უნდა ყოფილიყო არა სათათბირო და ერთდროული ორგანო, არამედ მუდმივი დაწესებულება ჩამოყალიბებული საკანონმდებლო უფლებებით. ამ პროექტის თანახმად სახელმწიფოს საკანონმდებლო ხელისუფლება ისნის კარავს უნდა დაეჭირა, მეფეს კი მხოლოდ სააღმსრულებო ხელისუფლება დარჩებოდა. რეალურად ეს იყო ხელისუფლების ორ შტოდ გაყოფა (ფაქტიურად ეს იყო კონსტიტუციური მონარქიის პირველი მოდელი. რაც დასავლეთ ევროპაში განხორციელდა — 80 წლის შემდეგ ინგლისში პარლამენტისა და 120 წლის შემდეგ საფრანგეთში — გენერალური შტატების შექმნით). თამარმა სათანადოდ შეაფასა მდგომარეობა, მოეთათბირა სამეფო კარს (ერთგულ მოყმეთ) და „შეიპყრა ყუთლუ-არსლან მეჭურჭლეთუხუცესი“. წინამძღოლის დატუსაღებამ მეტად შეაშფოთა ყუთლუ-არსლანის მომხრე დიდებულები. მათ ერთმანეთთან მოილაპარაკეს — შეიმუშავეს „სიმტკიცის“ ხელშეკრულება, მოითხოვეს ბელადის უვნებლად განთავისუფლება და თუ საჭიროება მოითხოვდა „განემზადნეს ისნისაცა შემობმად“. ამ, უაღრესად გამწვავებული განსაცდელის ჟამს, საქართველოს დიდებულმა საჭეთმპყრობელმა ნაცვლად შებრძოლებისა, გადაწყვიტა მეამბოხეებთან მშვიდობიანი მოლაპარაკება გაემართა. მან დაუთმო დიდგვაროვან გაფიცულებს და ერთგული ვეზირები, აფრიდონი და ყუბასარი სამსახურიდან გაანთავისუფლა, ხოლო აჯანყებულებს მიუგზავნა ორი „საპატიო დიოფალი“ — დიდგვაროვანი აზნაურის რატი ერისთავთ-ერისთავის დედა — ხოშაქ ცოქალი და აზნაურ სამძივართა დედა — კრავაი ჯაყელი. მათ მოლაპარაკება დაიწყეს განდგომილებთან და დაარწმუნეს ისინი, რომ ყუთლუ არსლანის გარდა ბრალი არავის დაედებოდა და შემოირიგეს. გაფიცულებმა მეფისაგან ფიცი აიღეს, ხოლო თავის მხრივ „მისცეს მათ პირი ერთგულობისა მათისა“. მიუხედავად იმისა, რომ ყუთლუ-არსლანი, როგორც აჯანყების მეთაური, კანონით სიკვდილს ან „თვალთდაბნელებას“ იმსახურებდა, თამარს იგი არ დაუსჯია. თავისი ფრთხილი და შორსმჭვრეტელური მოქმედებით ღმრთივგანბრძნობილმა საჭეთმპყრობელმა მშვიდობა დაამკვიდრა. პირველ რიგში სახელმწიფო თანამდებობებზე თავისი მომხრეები დანიშნა. მწიგნობართუხუცესად არჩეულ იქმნა ანტონი — „გაზრდილი მამისა მათისა, ბრძენი და გონიერი, პატრონთათვის სვიანი და ერთგული“; ამირსპასალარად — სარგის მხარგრძელი — „აღზრდილი ლაშქრობათა შინა ჭაბუკობითა“; ჭიაბერს — გიორგი მეფის გაზრდილს და მის უერთგულეს მომხრეს — ჩააბარა მანდატურთუხუცესობა. თამარმა ასევე დანიშნა „სხუანი ჴელისუფალნი... და აღავსნა ეპისკოპოზნი და საყდარნი შესაწირავითა, თავისუფალ ყვნა ეკლესიანი ხარაჯისა და ბეგარისაგან“.

გამეფებისთანავე თამარის სამეფო საქმიანობის თვალსაწიერში სასულიერო ცხოვრება მოექცა. წმინდა მეფე ხედავდა, რომ „მართლმადიდებლობასა ზედა შემოთესილნი თესლნი ბოროტნი“ ხელს უშლიდნენ ქვეყნისა და ერის ზნეობრივ წინსვლას. თამარმა, ამ მიზნით იერუსალიმიდან გამოიწვია ნიკოლოზ გულაბერისძე, რომელიც „სიმდაბლისა ძალითა ეჯმნა ქართლისა კათალიკოსობისაგან“ და 1185 წ. მოიწვია საეკლესიო კრება, რომელზეც შეკრიბა მთელი სამეფოს მღვდელმთავარნი, მონაზონნი, მეუდაბნოენი, და „მეცნიერნი სჯულისა საღმრთოსანი“. სამეფო დარბაზში გამართულ კრებაზე მეფე მიბრძანდა და სიტყვა წარმოსთქვა: „წმიდანო მამა-ნო, თქვენ ღმრთისა მიერ განჩინებულ ხართ მოძღურად ჩუენდა და მმართებელად წმიდისა ეკლესიისა და თანა გაც სიტყჳსა მიცემა სულთათჳს ჩუენთა. გამოიძიეთ ყოველი კეთილად და დაამტკიცეთ მართალი, ხოლო განჴადეთ გულარძნილი. იწყეთ ჩემ ზედა, რამეთუ შარავანდი ესე მეფობისა არს და არა ღმრთის ბრძოლობისა. ნუ თუალ-ახუამთ მთავართა სიმდიდრისათჳს, ნუცა გლახაკთა უდებ-ჰყოფთ სიმცირისათჳს. თქუენ სიტყჳთა, ხოლო მე საქმით... ზოგად ჴელი მივსცეთ დაცვად სჯულთა საღმრთოთა შეუგინებლად, რაჲთა არა ზოგად ვიზღჳვივნედ: თქუენ ვითარცა მღდელნი, ხოლო მე ვითარცა მეფე, თქუენ ვითარცა მნენი, ხოლო მე ვითარცა ებგური“. მამები აღფრთოვანდნენ გონიერი მეფის სიტყვებით, თვით მეფემ კი სამღვდელო პირთა მიმართ დედაკაცური კრძალვის გამო „მიიღო კურთხევა მათგან და წარვიდა პალატად თჳსად“.

კრებას „ვითარ პირმეტყველნი მთიებნი“ ღირსეულად უძღვებოდნენ ნიკოლოზ გულაბერისძე და ანტონ საღირისძე.

ბრძენი მეფის თანადგომით განმხნევებულმა მამებმა მრავალი უღირსი ღმრთისმსახური გადააყენა და მათ ნაცვლად „საღმრთონი კაცნი დაადგინა“ და „სხუანი საეკლესიონი წესნი განმართა უდებთა მიერ დაჴსნილნი“ (კრების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა მიქაელ მირიანისძის კათოლიკოსობიდან გადაყენება, რაც ვერ მოხერხდა).

საეკლესიო საკითხების განხილვის შემდეგ კრებამ იმსჯელა თამარის დაქორწინებაზე. თუმცა ბევრი იყო თამარზე დაქორწინების მსურველი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე სხვა, მეზობელი ქვეყნებიდან — საბერძნეთიდან, ასურისტანიდან და შუამდინარეთიდან, სასულთანოებიდან და საამიროებიდან, მეფის სახლობამ და დიდებულებმა გადაწყვიტეს მიეღოთ ქართლისა და თბილისის ამირას აბულასანის მიერ წამოყენებული წინადადება და მეფისთვის ქმრად ჩამოეყვანათ რუსი უფლისწული, შემდგომში რუსეთის ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული კიევის რუსეთის დიდი მთავრის ანდრია ბოგოლიუბსკის (1110-1174) შვილი იური (იგივე გიორგი), რომელიც გაძევებული იყო სამთავროდან და იმყოფებოდა ყივჩაყეთში. თამარი არ იყო ამ ქორწინების მოწადინე, მაგრამ მისი მამიდას, რუსუდანის ხთანადგომით დაითანხმეს, სასწრაფოდ გაგზავნეს ყივჩაყეთს ერთი ვინმე დიდვაჭარი ზანქან ზორაბაბელი, რომელსაც ჩამოაყვანინეს გიორგი რუსი და ქმრად შერთეს თამარს. თუმცა პირმშვენიერი გიორგი კარგი მეომარი იყო და მისი წინამძღოლობით ქართველთა ლაშქარი მუდამ გამარჯვებული ბრუნდებოდა, საუბედუროდ, გამართლდა თამარის შორსმჭვრეტელობა: გიორგიმ გამოამჟღავნა მეტად ცუდი თვისებები, ხელი მიჰყო ლოთობასა და გარყვნილობას, — „შევიდა სატანა გულსა სუე-უბედურსა რუსისასა“, „სიტყუაჲ აღძრა წყენად თამარისა“, „სოდომურიცა მოიპოვა ქცევაო“. ღმრთისნიერი თამარი ორი წელი ითმენდა, „იძია მრავალი ღონე განკურნებისა... და პირისპირ იწყო მხილებად მისდა“, მაგრამ ყოველგვარი ცდა ამაო გამოდგა. მოთმინებიდან გამოსულმა და „განსაცდელსა უცხოსა“ ჩავარდნილმა, „მოწყალისა და განურისხებლის“ გულის მქონე თამარმა უხმო კათალიკოსს, ეპისკოპოსს, დიდებულთ და განუცხადა გიორგის: თუმცა საღმრთო წერილით ვიცი, რომ ცოლი არ უნდა გაეყაროს ქმარს, მაგრამ შენ არცხვენ და ჰბილწავ კაცის გვამს, რომელიც არის უფლის ტაძარი, და რადგანაც მე არ შემიძლია მრუდი ხის აჩრდილის გასწორება, ამიტომ უბრალოდ „განვიყრი მტვერსაცა, რომელიც აღმეკრა შენ მიერ“. ამ სიტყვების შემდეგ თამარმა „დაუტევა იგი“. ქართველი დიდებულების ერთმა ნაწილმა გიორგი რუსის მოკვლაც კი მოინდომა, მაგრამ თამარმა აქაც ჩვეული შემწყნარებლობა გამოიჩინა და ქ. კონსტანტინეპოლს გაასახლა.

მეზობელ სახელმწიფოებში კვლავ გამოჩნდნენ თამარის მშვენებით მოხიბლულნი და მისი ქმრობის მსურველნი. თამარს დაქორწინება აღარ სურდა, მაგრამ რაკიღა სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვდა, დათანხმებულა. შორეულ და უცხო ქვეყნებში უფლისწულთა ძებნის მაგიერ, დიდებულებმა არჩევანი შეაჩერეს ოსთა უფლისწულზე — დავით სოსლანზე, რომელიც აღზრდილი იყო თამარის მამიდის — რუსუდანის კარზე. მათ შუამავლობა რუსუდანს სთხოვეს, რომელიც ღრმად იყო დარწმუნებული ოსი უფლისწულის მრავალმხრივ სიკეთეში.

თამარი დიდ ანგარიშს უწევდა გამზრდელ მამიდას და რაკი დავითს წუნი არაფერში ედო, დათანხმდა. ქორწილი შესაფერისი გრანდიოზულობით გადაიხადეს დიდუბის სასახლეში (1189წ). ამ დროიდან დავით სოსლანი მტკიცედ ჩადგა საქართველოს სახელმწიფოს სამსახურში და ჭეშმარიტად ღირსეულ მეუღლეობას უწევდა მეფე თამარს. იგი იყო „ფერნაკუთად კარგი, ბეჭ-ბრტყელი, პირად ტურფა და ტანად ზომიერი“. მან დიდად გაითქვა სახელი მშვილდოსნობაში და ცხენოსნობაში, ცურვასა და ასპარეზობაში. დავითი ღრმად განათლებული კაცი იყო და ბადალი არა ჰყავდა მთელ ქვეყანაში.

**გაგრძელება მე-6 გვ. -ზე**

# 14 მაისს, სრულიად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია წმიდა თამარ მეფის ხსენების დღეს აღნიშნავს



დასაწყისი მე-5 გვ.-ზე

საკმარისია ითქვას, რომ შამქორისა და ბასიანის ბრწყინვალე გამარჯვებებში გადამწყვეტი როლი შეასრულა დავითის მხედართმთავრულმა ნიჭმა და პირადმა მამაცობამ. ქართულ ისტორიულ წყაროებში ხშირად თანაბარუფლებიან მეფეებად ჩანან თამარი და მისი მეუღლე, სინამდვილეში მხოლოდ თამარი ითვლებოდა სამეფოს საჭეთმპყრობელად, დავითი კი რჩებოდა თამარის მეუღლედ და არა სახელმწიფოს გამგებლად. 1200 წლით დათარიღებულ მონეტაზე ასოთმთავრულით დაქარაგმებულია თამარისა და დავითის სახელები, ხოლო მონეტის ზურგზე მოთავსებულია არაბული ზედ-წარწერა, რომელიც გვამცნობს: „დედოფალი-დედოფალთა, შვენება ქვეყანისა და სარწმუნოებისა, თამარი ასული გიორგისა, მესიის თაყუანისმცემელი“ (თამარის წინაპრების მონეტაზე ეწერა: „მესიის მახვილი“). თავისი შთამომავლობის აღსანიშნავად ლაშა-გიორგი და რუსუდანი მონეტაზე ახსენებენ დედის (თამარის) სახელს: „მეფეთა-მეფე გიორგი, ძე თამარისა“, და „დედოფალი დედოფალთა, რუსუდან, ასული თამარისა“.

მეფე თამარი ღმრთისმოსავობითაც გამორჩეული იყო და ქვეყნის წარმატებების შესაბამისად „შეუმატებდა ღმრთისმსახურებასა“ და ეკლესია-მონასტერთა კაზმასა და შენებასა (ფიტარეთი, ქვაბთახევი, ბეთანია...). იგი ციხე-კოშკებს და ეკლესიებს აგებდა არა მარტო წმინდა ადგილებში, არამედ მის მიერ შემოერთებულ და ყმადნაფიც ქვეყნებშიც (ჩრდილო კავკასიაში, დღევანდელ აზერბაიჯანსა და სომხეთში) და ღირსეული წინაპრების მსგავსად, დიდ დახმარებას უწევდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ არსებულ ეკლესია — მონასტრებს, განსაკუთრებით კი იერუსალიმის სავანეებს. მან უხვი მოწყალებით აავსო ელადის, მთაწმინდის, მაკედონიის, თრაკიის, კონსტანტინეპოლის, შავი მთის, კვიპროსისა და ქართველთა სხვა სავანეები, ხოლო „საქართველოსა მცირითგან მონასტრით საყდარ-ეკლესიანი არა დაუტევა, რომელ არა წყალობითა აღავსო“. იგი მუდამდღე შეუსვენებლად ილვწოდა, „არცა თვითონ უქმობდა და არცა თჳსთა ყრმათა აუქმებდა“. წინა აზიის ქვეყნებისკენ მიმავალ მაგისტრალურ გზაზე აშენებული დიდებული ციხე-ქალაქი ვარძია (ვარძიის მონასტერში ატარებდა დიდმარხვას თამარი), საქართველოს ძლიერებისა და თამარის მაღალი სულიერების უტყუარი მოწმეა (1551 წ. ვარძიის მონასტერი შაჰ-თამაზის ბრძანებით სპარსელებმა დაარბიეს და ვარძიის ღმრთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი სხვა განძთან და სიწმინდეებთან ერთად გაიტაცეს, მას შემდეგ ვარძიამ აღორძინება ველარ შეძლო). „მზეებრ უხვი“ თამარი უშურველად გასცემდა საბოძვარს, თვითონ კი სჯერდებოდა თავის ძველ მამულს, რადგან „შორად განიოტა წურბელის მსგავსი ვერმაძღრისობაჲ“. აურაცხელ სიმდიდრესა და დიდებაში მყოფს, ქვედამზიდელმა საწუთრომ ვერანაირი ბიწი ვერ მოსცხო, თავი ისე ეჭირა, თითქოს არაფრის მქონებელი იყო და „ყოველთა კაცთა უგლახაკეს შეერაცხა თავი თვისი“. თავის დიდ პაპასავით ეკლესიებთან „სამზრუნველონი“ დაარსა და დაუძლურებულთ, სნეულთ და გლახაკთ თვითონ აკითხავდა „ნუგეშისცემად და თჳთ განუმზადებდა ცხედართა და სარეცელთა“. აი რას ამბობს ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე) „მან მოსთხოვა მოხელეებს, რომ ხალხს ამიერიდან მოპყრობოდნენ სისწორით, მიუდგომლობით, გულახდილობით, მართლმსაჯულებით; ვალად დაუდგინა, რომ სულ მდაბალი და უმნიშვნელო პირიც კი არ გაეხადათ მსხვერპლად უსამართლო ძალმომრეობისა“. მეფე დიდად ზრუნავდა გაჭირვებულებზე და ქვრივ-ობლებზე. „მე ვარ მამაჲ ობოლთა და მსაჯული ქურივთაო“ — ამბობდა ღიმილით. გლახაკთათვის ქველმოქმედების გაცემის საქმე ქვეყანაში საგანგებოდ იყო ორგანიზებული. სახელმწიფოს შემოსავლის ათი პროცენტი, სანდო ზედამხედველების საშუალებით ღარიბ-ღატაკებს და ქვრივ-ობლებს ეძლეოდათ. „ყოვლისა ნაათალი გლახაკთა მიეცემოდა დაუკლებლად ერთისა ქრთილისა მარცვლამდეცა“. ხალხი ბედნიერი იყო და „იშუებდეს და იხარებდეს“, ხოლო ღმრთისნიერი მეფე შეიწყალებდა და სამართალსა „ჰფენდა“ მათ. თამარს თავის მოსასვენებლის მახლობლად დაბინავებული ჰყოლია ხუცესები და მონაზვნები, რომელთაც თვითონ პატრონობდა და აძლევდა ყოველივე მოსახმარს, ხოლო უძლურებთან თვითონვე მიდიოდა მოსახილველად და ნუგეშის საცემად, თვითონვე უგებდა ლოგინს და უმზადებდა საწოლს. იგი ჭეშმარიტი პატრონი იყო თავისი ქვეყანისა და ხალხისა. სიბრძნისა და სათნოების საუნჯე, როგორც უწოდებდნენ თამარს თანამედროვენი, „მზე იგი მზეთაჲ და ნათელი ნათელთაჲ, ელვარებაჲ და მზეებრ მამუქებელი სხივთა“. ღმრთივკურთხეული თამარი, დროს როგორც კი იპოვიდა, ართავდა, ქსოვდა, კერავდა და თავის ნახელავს ბერ-მონაზვნებსა და გლახაკებს ურიგებდა. ერთხელ შრომით დამაშვრალს მიერულა და საღმრთო განგებით საოცარი ჩვენება იხილა. სამყოფელი, სადაც თამარი შეიყვანეს, სახილველად მეტად ტურფა ადგილი იყო, ყვავილებითა და სხვადასხვა მცენარეებით განშვენებული. ამ სამოთხის ბაღში იყო საყდრები, რომელთა სარკმლები შემკული იყო ვერცხლითა და ოქროთი, იქვე მოჩანდა ფერადი საკარცხლურები, ხოლო მაღლობზე იდგა ოქროთი და თვალ-მარგალიტით განშვენებული ტახტი. თამარმა იფიქრა, რომ რადგანაც მეფე იყო, ტახტი მას ეკუთვნოდა და მისკენ გაეშურა, მაგრამ მას წინ გადაუდგა ნათლით შემოსილი კაცი და უთხრა: შენი არ არის ეს დასაჯდომელიო. ჩემზე უპირატესი ვინ არისო, გაიკვირვა თამარმა. ეს ტახტი ეკუთვნის შენს მხევალს, რადგან „იგი უზეშთაეს შენსა არს. დაღაცათუ შენ მეფე ხარ, კმა არს შენდა დიდებაჲ ესე, დაღათუ შენი აქავე არს“ და უჩვენა „უდარესი და უუნდოესი“ ადგილი. თამარმა გამოჰკითხა თავისი მხევალი და აღმოჩნდა, რომ მას თორმეტი მღვდელი თავისი ხელით შეემოსა. თამარმაც აღარ დაახანა და თვითონაც შეკერა თორმეტი მღვდლისთვის შესამოსელი.

წმინდა მეფემ სამეფო კარისთვის აუცილებელი წესი დაადგინა: თვითონაც პალესტინის მონასტერთა ტიპიკონით ლოცულობდა და სხვებისგანაც იმავეს მოითხოვდა.. „დარბაზის კარს მყოფი წირვად ვერავინ დააკლდებოდა: მწუხრი, დილეულ, სამხრი, ვითარცა თქმულ არს“. ღმრთივგანბრძნობილმა მეფემ სასტიკად აკრძალა სიკვდილით დასჯა და სხეულის დასახიჩრება, მიუხედავად ამისა მის სამფლობელოში აღარავინ მტაცებლობდა და აღარც მეკობრეობდა.

ერთხელ წმინდა მეფე სადღესასწაულო წირვაზე აპირებდა წასვლას გელათში და სამეფო შემოსაკრავზე ლალებს იმაგრებდა, როდესაც მოახსენეს რომ მათხოვარი მოწყალებას ითხოვდა. მან ბრძანა, რომ დალოდებოდა, მაგრამ როცა პალატიდან გასულმა დედაკაცი ველარ იპოვა და შეცბუნებული საკუთარ თავს საყვედურობდა, რომ ამ ღარიბი დედაკაცის სახით უარი უთხრა თვით უფალ იესო ქრისტეს. ამიტომ მოიხსნა სამეფო შესაკრავი — და ხახულის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის ხატს შესწირა.

თამარის სათნო, ლმობიერი ბუნება თურმე მხეცსაც კი ათვინიერებდა. შარვანის შაჰს თამარისათვის გამოუგზავნია ლომის ბოკვერი. ბოკვერი გაიზარდა და ესოდენ დიდი და საზარელი შეიქმნა, რომ არც ველური და არც შინაური უნახავთ მისი მსგავსი. მას ისეთი სიყვარული ჰქონია თამარ „ღმრთივგანათლებულისა“, რომ ჯაჭვითაც კი ვერ იჭერდნენ, ვიდრე უბეში არ ჩაუდებდა თავს, ხოლო როცა მოაცილებდნენ და ისევ დააბამდნენ, წყაროს მსგავსი ცრემლნი „გარდამოსთხივნის თუალთაგან, რომელნიც დაალტობდის მიწასა“.

კონსტანტინეპოლში გაძევებულმა იური (გიორგი) რუსმა, ზოგიერთ ქართველ დიდებულთა დახმარებით, ორჯერ, 1191 და 1193 წლებში სცადა საქართველოში დაბრუნება და გამეფება, მაგრამ სასტიკად დამარცხდა და კვლავ ბიზანტიაში გადაიხვეწა

1192 წელს თამარს და დავითს ტაბახმელას შეეძინათ ვაჟი, „ყოვლითურთ მსგავსი პაპისა და დაარქვეს სახელი გიორგი“. ყრმა უფლისწულს მეტსახელად ლაშასაც უწოდებდნენ, რაც სოფლის მანათობელს ნიშნავს. ამ ამბავს სიხარულით შეეგება მთელი ქვეყანა, გაიცა დიდძალი მოწყალება, გაათავისუფლეს ტყვეები, შესაწირავი მიეცა ეკლესია-მონასტრებს. თამარს ვაჟის დაბადება აღუნიშნავს შესაწირავით. შეუმკია გელათში დასვენებული ხახულის ღმრთისმშობელი და ნიშნად მვედრებლობისა, დაუწერია იამბიკო (ურითმო თეთრი ლექსი), რომელიც ამოუქანდაკებიათ ხახულის ხატზედვე.

აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა, და სომეხთა მეფე და დედოფალი, შარვანშა და შაჰანსა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმფლობელი — ასე იწოდებოდა სრულიად საქართველოს მეფეთ-მეფე თამარი. წმინდა მეფის ტიტულატურაში, მის მფლობელობაში მყოფი შვიდი სამეფოა ჩამოთვლილი: აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა (ტაშირ-ზორაკერტი), შარვანშა (შირვანი — თითქმის დღევანდელი აზერბაიჯანი) და შაჰანშა (შირაკის სამეფო — ის სომხური ტერიტორიები, რომელსაც მაჰმადიანები ფლობდნენ სამხრეთით) და რეალურად ასახავს საქართველოს პოლიტიკურ სიძლიერესა და გეოგრაფიულ სიდიდეს.

საქართველოს სამეფო კარი დაპყრობითი თუ შემოერთებული ქვეყნების მიმართ სხვადასხვა პოლიტიკას ატარებდა, იმ ქვეყანას სადაც ქრისტიანი მოსახლეობა სჭარბობდა — „სამეფოდ იჭერდა“, ხოლო იმ ქვეყნებს, სადაც არა ქრისტიანი მოსახლეობა იყო, საქართველოს მეფესთან ვასალური დამოკიდებულება ჰქონდათ, ანუ „ყმადნაფიცობის“ პირობით იყვნენ შეკრულნი და საქართველოს გარკვეული ოდენობის ხარკს უხდიდნენ. მოხარკე ქვეყნებიდან საქართველოს სამეფო კარი ზოგისგან ერთდროულად იღებდა ხარკს, ზოგისგან კი რეგულარულად. XIII ს-ში საქართველოს მოხარკე და ყმადნაფიცი ქვეყნები მეტი ჰყავდა, ვიდრე „სამეფოდ დაჭერილი“. მის შემადგენლობაში შედიოდა: საქართველო, — მისი საერისთავოებით — ჰერეთი, კახეთი, რუსთავი, ტფილისი, (მეფის დომენი), ქართლი, ორბეთი, ლორე, კაენი, გაგი, თორი, ჯავახეთი, თმოგვი, სამცხე, ტაო, ჭანეთი, ქუთათისი (მეფის დომენი), არგვეთი, რაჭა-თაკვერი, სვანეთი, გურია, ოდიში, ცხუმი. სომხეთი-ანისი, დვინი, ბიჯნისი, სივნეთი, ხაჩინი (არწახი). ყმადნაფიცები — აღმ. კავკასიის ქვეყნები: — შირვანი (აზერბაიჯანი) და დარუბანდი.

ვასალური და პროტექტორატის ქვეშ მყოფი ქვეყნები კავკასიაში: ჩრდილოეთ კავკასია — ქაშაგეთი (საჩერქეზო), ოვსეთი (ალანეთი), ძურძუკეთი, დიდოეთი, ლუნძეთი (ავარია, დაღესტანში).

სამხრეთ-დასავლეთ კავკასიაში: კარნუ-ქალაქის საამირო (არზრუმის მხარე). აგრეთვე ეზინკის საამირო, ხლათის, შაჰ-არმენთა და განძის სასულთანოები, სპარსეთის ადერბაიჯანი, და მრავალი თურქული სამფლობელო ამიერკავკასიაში. საქართველოსა და ეგვიპტეს შორის დადებული 30-წ ზავის პირობების თანახმად, ეგვიპტესთან, რომლის შემადგენლობაში იმ ხანად ხლათის სასულთანო შედიოდა, საზღვარი მდინარე არაქსზე გავიდა. (რუკა იხ. გარეკანის III გვ.).

საქართველოს ამ ხელქვეითი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნებოდა ტრაპიზონის სამეფოც. თამარს, მრავალ კეთილ თვისებასთან ერთად ახასიათებდა მეზობელთმოყვარეობა, ლმობიერება და ყმადნაფიცი ქვეყნების უდიდესი მფარველობა, მიუხედავად მუსლიმანური სამყაროს მხრიდან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებისა ქრისტიანული საქართველოს დაპყრობისათვის, ქართველებს, არც შემოერთებულ და არც საკუთარ ტერიტორიაზე მაცხოვრებელ მუსლიმანებთან მტერობა არა ჰქონიათ. ქართველი მეფენი ლმობიერებას იჩენდნენ ამ ხალხების მიმართ, მათ კეთილდღეობაზე ზრუნავდნენ და არასოდეს აღუკვეთიათ სარწმუნოებრივი რიტუალების დაცვა.

წმინდა თამარის მეფობისას ერთი ფრიად მნიშვნელოვანი სარწმუნოებრივი კამათი მოხდა ქართველთა და სომეხთა შორის. თამარის უპირველესი კარისკაცები, ზაქარია და ივანე მხარგრძელები მონოფიზიტები იყვნენ [მხარგრძელები წამოსულები ჩანან ბაბილონიდან და ქურთები უნდა იყვნენ. ქართულ სამეფოში მოხვედრის შემდეგ დაწინაურდნენ. მხარგრძელების განაყოფებია გაგელები და თმოგველები]. ერთხელ, საღმრთო ლიტურღიის შემდეგ, ზაქარიამ სეფისკვერის მიღება ისურვა, მაგრამ კათალიკოზმა იოანემ ნება არ დართო. განრისხებულმა ზაქარიამ უპასუხა: მე მოლაშქრე ვარ და სჯული არ ვიცი, „არამედ მოუწოდო მოძღუართა სარწმუნოებისა ჩუენისათა, რომელთა ჩემ წილ სირცხვილეულ გყონ“. კათალიკოზი იოანე მიუგებდა: „იყავნ ნება ქრისტესი და მარადის ქალწულისა ღმრთისმშობელისა, რომელმან სირცხვლეულ ყვნეს უარისმყოფელნი თჳსნი“.

ზაქარიამ კაცი გააგზავნა თავიაანთ კათალიკოსთან და სთხოვა, რათა მოძღვრებთან და სჯულის მცოდნე კაცებთან ერთად მონაწილეობა მიეღო სარწმუნოებრივ კამათში. მართლაც რამოდენიმე ხანში მოვიდა ვანის კათალიკოსი სჯულის მცოდნე მოძღვრებთან ერთად და „დაიდგა სამსჯავრო“. ერთ მხარეს დაბრძანდნენ მეფე თამარი დავითთან ერთად და საქართველოს წარჩინებული პირები, მეორე მხარეს კი ზაქარია და ივანე მხარგრძელები, სომეხთა კათალიკოსთან და მოძღვრებთან ერთად. შემობრძანდა იოანე კათალიკოსი და ფსალმუნი წარმოსთქვა: „აღდეგ, ღმერთო, საჯე სჯაჲ შენი, მოიჴსენე ყუედრებაჲ შენი, რომელ არს უგუნურთაგან“, ხოლო მეფენი ფეხზე წამოუდგნენ და პატივით თავისთან დააბრძანეს. როდესაც მოიკითხეს ერთმანეთი, დადუმდენ და „იწყეს სომეხთა სარწმუნოებისა მათისა თქმად სიტყუა-მჭევრად და ვრცელ-სიტყუად“. იოანე კათალიკოსი გონიერად და ბრძნულად განუმარტავდა და ასწავლიდა, მაგრამ ისინი ისევ თავისას ამტკიცებდნენ. ასე გაგრძელდა კამათი საღამომდე. მაშინ, სული წმიდით აღსავსე და მართალ სარწმუნოებას მინდობილმა კათალიკოსმა მოსასმენადაც საშინელი სიტყვა წამოსთქვა: თუ თქვენი სარწმუნოება უმჯობესია, თქვენ მიერ მღვდელმოქმედებული პური შეიცვლება უფლის ხორცად, ხოლო თუ ჩვენია უმჯობესი, მაშინ ჩვენ მიერ მღვდელმოქმედებული შეიცვლებაო. ჭეშმარიტების დასადგენად კი საქმით გამოვაჩინოთ ჩვენ-ჩვენი სიმართლეო და სომხებს შესთავაზა: სამი დღე ვაშიმშილოთ ძაღლები, ხოლო „ღამე განვათიოთ ლიტანიითა და ღმრთისა ვედრებით“, მესამე დღეს უსისხლო მსხვერპლშეწირვა აღვასრულოთ და ტარიგი ძაღლებს დავუგოთო. რომლის ტარიგსაც ძაღლი შესჭამს, მისი სარწმუნოებაც მცდარი იქნებაო. ამის გამგონე მეფესა და ერს თავზარი დაეცა და უთხრეს კათალიკოსს: რაც წარმოთქვი სასმენელადაც საშინელია და ვინ იკადრებს ამის გაკეთებასო. კათალიკოსმა მშვიდად მიუგო: ამ საქმეს ჩემი სურვილით კი არ ვბედავ, არამედ ქრისტეს სასოებით, რათა ყველას აჩვენოს თუ ვისი სარწმუნოებაა ჭეშმარიტი და „ვისითა მღდელმო-ქმედებითა შეიწირავს უსისხლო მსხუერპლსა, და ვისთა ჴელთა მისცემს ტარიგი ღმრთისა დაკლვად თავსა თჳსსა, ანუ ვინ ვჭამთ ჴორცსა მისსა და ვსუამთ სისხლსა მისსა; მინდობითა მართლმადიდებლობისათა ცხად ვყოფთ ჭეშმარიტებასა. მეფეო, შემეწიე შენ და ყოველნი ქართველნი, დიდი და მცირე“. როდესაც მოისმინეს კათალიკოსის სიტყვა, გაკვირვებული მეფე და ერი დათანხმდა. იყო პარასკევი დღე. იწყეს ლიტანიობად და ის ორი დღე და ღამე ლოცვაში გატარეს: ერთ მხარეს მეფემ, კათალიკოსმა და ყოველმა სამღვდელო კრებულმა, მეორე მხარეს კი სომხებმა და მხარგრძელებმა. კვირის საღმრთო ლიტურღიაზე კათალიკოსმა შესწირა რა უსიხლო მსხვერპლი, ხელთ იტვირთა მართლმადიდებლურად შეწირული და მღვდელმოქმედებული ტარიგი, და ლოცვა წარმოთქვა, რომელიც შემდეგი სიტყვებით დაასრულა: „შენ, მეუფეო, გთნავს სარწმუნოებაჲ ქართველთაჲ, გთნავს სარწმუნოებაჲ ესე ჩუენი, შეუხებელად და მიუახლებლად დაიცვე ზარისა ასაჴდელი ჴორცი ესე შენი, ჩუენ მიერ მღდელ-მოქმედებული; შენ უკუე შეიწირე შეუძრველი ეგე და აჩუენე ერსა ამას გზაჲ ჭეშმარიტი, და მოხედე მსხუერპლსა ამას და სირცხვლეულ ყვენ წინაარმდგომნი ჩუენნი“, ხოლო როცა ლოცვა დაასრულა, „შესაძრწუნებელი იგი უსისხლოჲსა მსხუერპლისა აღმონაკუეთი“ მშიერ ძაღლს დაუდო წინ. პურის მხილველი ძაღლი, როგორც კი მიუახლოვდა „მიუახლებელს“, ვერ შეეხო „წმიდათა წმიდას“ და შეშინებული ძლიერი წკავ-წკავით განეშორა. ამის შემდეგ მოიყვანეს მეორე ძაღლი და სომეხთა „მოუგდეს მსხუერპლი მათი და მყის აღიტაცა“. როდესაც მეფემ და ერმა ეს სასწაული იხილა, სიხარულით ღაღადყო: „დიდ ხარ შენ, უფალო, და საკჳრველ არიან საქმენი შენნი“ და სთქვეს ასოცდამერვე ფსალმუნი, სომეხი კათალიკოსი და სჯულისმეცნიერნი კი შერცხვენილნი გაბრუნდნენ უკან. იოანე მხარგრძელმა მაშინვე აღიარა მართლმადიდებლობა და კათალიკოსის მიერ ნათელ-იღო. მასთან ერთად მრავალი სომეხი მოინათლა, ზაქარიამ კი თქვა „უწყი, რამეთუ მართალი სჯული არს ქართველთა, მაგრამ მე არა შევერთვი“-ო და მონოფიზიტობა შეინარჩუნა.

ამდენმა შრომამ, ღვაწლმა, საფიქრალმა, ამდენმა ცრემლთა დენამ, გამუდმებულმა მარხვამ, ფეხშიშველა ლიტანიობამ და მონასტრის ქვის სარეცელზე წოლამ ჯანმრთელობა შეურყია თამარს და ნაჭარმაგევს, თავის საზაფხულო რეზიდენციაში ყოფნისას გამოაჩნდა მძიმე სენი. დიდხანს მალავდა და არ ამხელდა ავადმყოფობას დიდსულოვანი მეფე-ქალი, რადგანაც სხვის შეწუხებას ერიდებოდა, მაგრამ როდესაც ავადმყოფობა კიდევ უფრო გაუმძაფრდა, იძულებული გახდა გაემხილა თავისი უძლურება. თვითონვე ბრძანა მწარე ღიმილით: „დედობრივმან უძლურებამან განგრძობილთა შინა მხედრობათა არა თავს იდვა შეუმთხვეველად მიშვება აგებულებისა“. ნაჭარმაგევიდან თბილისს ჩამოიყვანეს მეფე, შემდეგ კი ხშირი ტყით დაფარულ მთაში წაიყვანეს — იქნებ ტყის სიმშვიდემ არგოსო, მაგრამ ვინაიდან „დიდად გაძნელდა სენი იგი უწყალო“, ისევ თბილისის მახლობლად მიიყვანეს „აგარათა ციხესა“. ვერანაირმა მკურნალობამ ვერ უშველა თამარს, ამაო აღმოჩნდა „მკურნალთა ხელოვნება“. მთელი საქართველო ლოცულობდა და ლიტანიობდა „ცრემლთა დინებანი იხილვებოდა მდიდართა და გლახაკთანი სწორებით“ — თამარის გადარჩენას შესთხოვდნენ ღმერთს, „გარნა მწოდებელი კართა ზედა დგა და მბრძანებელისა წინააღდგომაჲ შეუძლებელ იყო“. როდესაც სიკვდილის მოახლოება იგრძნო, თამარმა მოიწვია სამეფოს წარჩინებული პირები, ძალ-ღონე მოიკრიბა და მიმართა მათ: „ძმანო ჩემნო და შვილნო! მე ესერა მივიწოდები მსაჯულისაგან საშინელისა, უსაშინელესისა უფროჲს მეფეთა ქუეყანისათა, რომელმან მიუხუნის სულნი მთავართანი. თქუენ ყოველნი თჳთ მოწამე ხართ, რამეთუ თავისა ჩემისა თანა მაქუნდა სიყუარული თქუენი, და სარგებელსა და სათნოსა თქუენსა არა დავაკლე თვითეულისაებრ არზანგისა (პატივი), ვიდრემდის განგებითა ღმრთისათა ვიყავ თქუენ ზედა მეფედ. აწ მეცა წარვალ მამათა ჩუენთა თანა გზასა ჩემგან უცხოსა, ბრძანებითა საშინელითა და განყოფითა საკჳრველითა. გევედრები ყოველთა, რაჲთა მარადის კეთილთა შინა იყვნეთ მაჴსენებელ ჩემდა. აჰა, ესერა მკჳდრად სახლისა ჩემისა დაგიტევებ რომელნი მომცნა ღმერთმან შვილნი ჩემნი, გიორგი და რუსუდან. ეგენი მიიხუენით ჩემ წილ და მაგათ აღმოგივსონ დაკლებული ჩემი“. შემდეგ მაცხოვრის ხატს და ცხოველმყოფელ ჯვარს შეავედრა საქართველო, მშვიდობა უსურვა ყველას, უკანასკნელად შეავლო თვალი ერთგულ ქვეშევრდომებს, სასოებით გადაისახა პირჯვარი და წარმოსთქვა: „ქრისტე, ღმერთო ჩემო მხოლოო, დაუსრულებელო მეუფეო ცათა და ქუეყანისაო! შენ შეგვედრებ სამეფოსა ამას, რომელი შენ მიერ მერწმუნა და ერსა ამას, პატიოსნითა სისხლითა შენითა მოსყიდულთა, და შვილთა ამათ ჩემთა, რომელნი შენ მომცენ, და მერმე სულსა ჩემსა“ და „მშვიდობით დაიძინა სარეცელსა ზედა თჳსსა“ (1210 წლის 27 იანვარს). სარწმუნოებისა და მამულისათვის დამაშვრალმა მეფემ უფალს შეავედრა ჯერ ქვეყანა, რომლისთვისაც ასე თავდაუზოგავად ილვწოდა, მერე ხალხი, რომელსაც დედობრივი მზრუნველობით პატრონობდა, შემდეგ საკუთარი შვილები და სულ ბო-ლოს თავისი სული. ესეც არის ალბათ გასაღები თამარის წარმატებული მეფობისა. თავისთავად ამგვარი დამოკიდებულებისთვის, ასეთი ცხოვრების წესისათვის დაჯილდოვდა იგი ამქვეყნად მორჭმული მეფობით და იმქვეყნად — წმინდანთა დასის წევრობით.

დიდად იგლოვა სრულიად საქართველომ თამარის გარდაცვალება. ძაძით შეიმოსა დიდი და პატარა, ყველა მუხლს იყრიდა მისი კუბოს წინაშე. მათი გოდება იყო მსგავსი „მოოხრებისა იერუსალიმისანი იერემიას მიერ მგოდებელისა“. თამარის წმინდა ცხედარი ჯერ მცხეთაში დაასვენეს, ხოლო შემდეგ გელათში გადააბრძანეს და თავის სახელოვან წინაპრებთან ერთად მეფეთა სამარხში დაკრძალეს. საიდუმლოებითაა მოცული თამარის საფლავის ადგილსამყოფელი. ზოგიერთი ისტორიული წყარო მის საძვალედ კვლავ გელათს ასახელებს, ზოგიც — იერუსალიმის ჯვრის მონასტერს.

საქართველოს სამეფო ტახტზე ლაშა-გიორგი ავიდა. არის მოსაზრება, რომ მან იერუსალიმში გადააბრძანა დედის ნეშტი, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ მან ჯვაროსნებთან ერთად წმინდა ადგილების განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მონაწილეობა ვერ მიიღო, რადგან აღმოსავლეთიდან საქართველოს მონღოლები მოადგნენ და ქართველები მათთან ბრძოლაში ჩაებნენ. ფარსად გორგიჯანიძისა და ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით თამარი დაფლულია გელათის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის ეკლესიაში. თამარის გარდა აქ დაკრძალული ყოფილან დავით აღმაშენებელი, გიორგი III, ლაშა-გიორგი, რუსუდანი, ულუ-დავითი და ნარინ-დავითი, მაგრამ დღეს არცერთის საფლავი არ ჩანს. ეს სხვადასხვა მიზეზით აიხსნება, გელათი რამდენჯერმე ააოხრეს და დაწვეს გარეშე მტრებმა.

რვა საუკუნე მისტირის ქართველი კაცი თამარის დროინდელ დიდებას. წმინდა მეფის დიდებული სახე, მისი ღვაწლი ქართველი ერის წინაშე, მემატიანეების, ეპიგრაფიკული ძეგლების, ისტორიული საბუთების, წარწერებისა და ფრესკების გარდა, შემოგვინახა ხალხურმა შემოქმედებამ — ლეგენდებში, ლექსებსა და სიმღერებში უკვდავყო მისი ცხოვრება, რამაც ყოველი ჭეშმარიტი ქართველის სულში აანთო თამარისადმი სიყვარულის ჩაუქრობელი ცეცხლი. თამარის შესახებ ლეგენდები დადიოდა არა მარტო აზიაში, არამედ ევროპის ყველა კუთხეში. ქართველი ერისთვის კი იგი იყო „დედა ქართველისა“, სახელოვანი ხელმწიფე, დავით წინასწარმეტყველის დიდებული შთამომავალი და „გვირგვინი ყოველთა ხელმწიფეთა“. სწორედ ამიტომაც, მადლიერი ქართველი ერი, რაც კი ძვირფასი ძეგლები შექმნილა, ყველაფერს თამარის სახელს უკავშირებს. ხალხის წარმოდგენით თამარის ხანაში მოიყარა თავი ყველა ეროვნულმა მიღწევამ, ყოველივე საუკეთესომ, რისთვისაც მადლიერმა ერმა მისი მეფობის პერიოდს ოქროს ხანა უწოდა, ხოლო სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეულ თამარს მეფე უწოდა, გმირ მირონცხებულ მამაკაცებს გაუთანაბრა და ამით მასში თაყვანი-სცა უზენაესისაგან პირველქმნილი მამაკაცისა და დედაკაცის ღვთაებრივ ერთბუნებოვნებას. საუკუნეებს გადაწვდა თამარის დიდებული პიროვნებით შთაგონებული რუსთაველის აფორიზმი: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“. დედა ეკლესიამ თამარ მეფის ცხოვრება მენელსაცხებლე დედათა ღვაწლს მიადარა და წმინდანთა დასში კანონიზირებისას ხსენების დღედ გაზაფხულის პირველი დღე 1 (14) მაისი და აღდგომიდან მესამე კვირა — მაცხოვრის სიყვარულითა და ერთგულებით გამორჩეულ მენელსაცხებლე დედათა ხსენების დღე დაადგინა.

**მოამზადა ია გიგიაშვილმა**

# ბოდიშს გიხდით, ბატონო სოსო!

გაზეთ „ყვარლის“ 2016 წლის 28 მარტის ნომერში დაიბეჭდა სამადლობელი წერილი მერი პატარქლიშვილის ავტორობით, რომელშიც იგი მადლიერებას გამოხატავდა ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის და ქ. ყვარლის სათნოების სახლის დირექტორის მიმართ გაჭირვებული ადამიანებისათვის გამოჩენილი მზრუნველობისა და თანადგომისათვის.

ქალბატონი მერი პრეტენზიული პიროვნებაა და ხშირად მიმართავს თხოვნით გამგეობის სამსახურებს, გაზეთ „ყვარლის“ რედაქციას, რომ მას დაუბეჭდონ სხვადასხვა თემაზე კორესპონდენციები. სიმართლე რომ ითქვას, მის მიერ შემოტანილი წერილებიდან, მხოლოდ ეს უკანასკნელი მივიჩნიეთ ღირებულად, ამასთან ჩავთვალეთ, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები შეთანხმებული იყო სათნოების სახლის ხელმძღვანელობასთან და გამოვაქვეყნეთ გაზეთის ზემოხსენებულ ნომერში.

სამწუხაროდ ავტორის დაუდევრობით გაიპარა შეცდომა და წერილში მოხსენიებულია სოსო ნაზრიშვილი სხვა პიროვნების ნაცვლად.

გაზეთის ყოველ ნომერში ხაზგასმითაა მითითებული, რომ გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე.

მიუხედავად ამისა, რედაქცია ბოდიშს უხდის სოსო ნაზრიშვილს, უსურვებს ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

ყველაფერს ვილონებთ, რათა უპასუხისმგებლო რესპოდენტების წერილები გაზეთში აღარ დაიბეჭდოს.

**პატივისცემით, გაზეთ „ყვარლის“ რედაქცია**

# 4 მითი პალმის ზეთზე — ის, რაც მის უნიკალურ თვისებებზე არ იცოდით

საზოგადოების დიდ ნაწილში კითხვა დგას, საზიანოა თუ არა პალმის ზეთი, განსაკუთრებით კი მოზარდებისთვის. იმის გასარკვევად თუ რაში ადანაშაულებენ პალმის ზეთს, რამდენიმე ფორუმს ვესტუმრეთ, სადაც შემდეგი შინაარსის შეკითხვებს წავაწყდით.

ძირითადი შეკითხვა ეხება პალმის ზეთის მოქმედებას ადამიანის ორგანიზმზე, კერძოდ შეიწოვება თუ არა პალმის ზეთი სხვა ცხიმების მსგავსად? მავნებელია თუ არა პალმის ზეთი გულ-სისხლძარღვთა სისტემისთვის?

პალმის ზეთის მიმართ ერთდროულად რამდენიმე პრეტენზიას გამოთქვამენ, მას მავნე ტრანსცხიმების დიდი რაოდენობით შემცველობას მიაწერენ, რომლებიც სისხლძარღვთა დაავადებების რისკს ზრდის, თუმცა ამ ბრალდებას აქარწყლებს ის, რომ პალმის ზეთს თავიდანვე ნახევრად მყარი კონსისტენცია გააჩნია, მისი ცხიმი არ ილვრება და მას არ ესაჭიროება ხელოვნური გამყარება, შესაბამისად შემცველობაში პალმის ზეთი ტრანსცხიმებს არ საჭიროებს.

მაშინ ისმის კითხვა: რატომ იბადება ამდენი შეკითხვა საზოგადოების მხრიდან?

აღმოჩნდა, რომ ამის საფუძველი არსებობს. რაც შესაძლებელია შემდეგ ფაქტთან იყოს დაკავშირებული, მსხვილი საკვების მწარმოებელი კომპანიების მხრიდან პალმის ზეთზე მოთხოვნილება ყოველწლიურად იზრდება, რაც პირდაპირ პროპორციულად გულისხმობს იმას, რომ იმატებს ტროპიკული ხეების გაჩეხვის ინტენსივობა იმ რეგიონებში სადაც ზეთოვანი პალმის ხე ხარობს. ამ ფაქტს რეენპეაცე-ს გარემოს დამცველი ორგანიზაციის მხრიდან პროტესტი მოყვა, რადგანაც ბუნებრივი ტროპიკული ტყეების გაჩეხვას და მათ ადგილას ზეთოვანი პალმის მოშენებას თან სდევს იქ არსებული ფლორისა და ფაუნის, განსაკუთრებით ორანგუტანების განადგურება. სწორედ ამიტომ პალმის ზეთზე უარყოფითი ინფორმაციის საზოგადოებამდე მისატანად რეენპეაცე-მა საკმაოდ დიდი რესურსი დახარჯა და დღეს ადამიანების არასწორი, უარყოფითი დამოკიდებულება პალმის ზეთის მიმართ სწორედ მათი კამპანიის შედეგია.

რადგან საზოგადოებაში ხშირად ისმის ეს კითხვა, ჩვენც გამოვიკვლიეთ და ვეცადეთ კონკრეტული ფაქტებით გაგვექარწყლებინა ჩამოყალიბებული არასწორი მოსაზრებები პალმის ზეთზე. გთავაზობთ რამდენიმე გავრცელებულ მითს და მათ საპასუხო ფაქტებს პალმის ზეთის თვისებებთან დაკავშირებით.

1. მითი რომ პალმის ზეთის მონელება ადამიანის საჭმლის მომნელებელი სისტემისთვის ძალიან რთულია, რადგან იგი ადამიანის ორგანიზმის ტემპერატურაზე გაცილებით მაღალ გრადუსზე დნება.

რეალობაა ის, რომ ცხიმების გადამუშავება ადამიანის ორგანიზმში ტემპერატურის ზემოქმედებით არ ხდება, რაც შესაბამისად გამორიცხავს იმას, რომ ადამიანის ორგანიზმი პალმის ზეთს ვერ ინელებს, პირიქით, პალმის ზეთი მდიდარია ტრიგლიცერინებით, რომელთა მონელება სწრაფად ხდება და ღვიძლში მოხვედრის შემდეგ ხმარდება ენერგიის გამომუშავებას სისხლის ნაკადში გადასვლის გარეშე.

2. მითი, რომ განვითარებულ ქვეყნებში (ევროპასა და ამერიკაში) პალმის ზეთი აკრძალულია რეალობაა, რომ მას მოიხმარენ ყველა განვითარებულ ქვეყანაში, მაგალითად, აშშ მსოფლიოში წარმოებული პალმის ზეთის 10%-ს მოიხმარს. ვეგეტარიანული საკვები პროდუქტების უმრავლესობაც სწორედ პალმის ზეთზე მზადდება.

3. მითია ისიც, რომ პალმის ზეთის გამოყენება მხოლოდ მეტალურგიულ და საპნის წარმოებაშია შესაძლებელი რეალობაა, რომ პალმის ზეთის გამოყენების სფერო ძალზედ ფართოა და მას დაახლოებით 5000 წელია იყენებენ კვების მრეწველობაში.

4. მითია ის, რომ პალმის ზეთს აწარმოებენ ზეთოვანი პალმის ხის მერქნისგან რეალობაა, რომ მისი გამოხდა წარმოებს ზეთოვანი პალმის ხის ნაყოფის რბილობიდან.

საბოლოო ჯამში, პალმის ზეთი არათუ შეიცავს ტრანსცხიმებს, არამედ საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ პროდუქტებში სწორედ ტრანსცხიმების შემცველობა.

როგორც ექიმები ამბობენ, პალმის ზეთის გამოყენებას საკონდიტრო ნაწარმსა და პურ-ფუნთუშეულში შეუძლია შეამციროს ონკოლოგიური დაავადებების რისკი, ხოლო ზომიერ მოხმარებას კი — გულ-სისხლძარღვთა დაავადებების შემცირება.

აღმოჩნდა, რომ პალმის ზეთის აკრძალვას არავითარი სიკეთე არ მოყვება, რადგან კვებით მრეწველობას ესაჭიროება მყარი ცხიმები, ამიტომ პალმის ზეთის აკრძალვის შემთხვევაში, საკვები პროდუქციის მწარმოებლები, ალტერნატივის სახით დაიწყებენ ჰიდროგენიზებული მცენარეული ზეთების გამოყენებას, რაც გამოიწვევს ჯანმრთელობისთვის სახიფათო ტრანსცხიმების მოხმარების გაზრდას.



# ცაცხვი



ცაცხვი საკმოდ მაღალი (30 მ-მდე) ხეა ცაცხვისებრთა ოჯახიდან სწორმდგომი ტანით, ფართოდ დატოტვილი ვარჯით და გრძივად დაღარული კანით. ახალგაზრდა ტოტები მორუხო-წითელია, წვრილი მეჭეჭებით.

ფოთლები მორიგეობითია, გრძელყუნწიანი, დაკბილული, ზედა მხრიდან მწვანე, შიშველი, ქვედა მხრიდან – ნაცარა, ხშირად შებუსული, სიგრძით 5-9 სმ, სიგანით – 5-8 სმ.

ყვავილები მოყვითალო-თეთრია, არომატული. შეკრებილია 3-15 ფარისებრ ნახევარქოლგა ყვავილედში. ყოველ ყვავილში ჯამის ხუთი ფოთოლაკია და გვირგვინის ხუთი ფურცელია. მასში მტვრიანები ხუთ კონადაა შეკრული.

ნაყოფი სფერული ფორმის, ერთი ან ორთესლიანი კაკალია. ცაცხვი ცოცხლობს 300-400 წელი (იშვიათდა 600 წლამდე). ყვავილობს ივნის-ივლისში. ნაყოფი შემოდის აგვისტო-სექტემბერში.

გავრცელებულია საქართველოს ფოთლოვან ტყეებში, ხშირად გვხვდება მუხნარებში. ცაცხვის მოჭრა მხოლოდ 90 წლის ასაკშია დასაშვები. ამ დროისათვის მცენარეს შეუძლია დიდი რაოდენობით სამკურნალო ნედლეულის მოცემა. ცაცხვი შესანიშნავი თაფლის მომცემი მცენარეა.

ნედლეულად ამზადებენ ცაცხვის ყვავილებს, თანაყვავილედის ფოთლებთან ერთად. ყველაზე საუკეთესო დრო მათი დამზადებისთვის არის მაშინ, როდესაც ნახევარზე მეტი ყვავილები გაშლილია. შეგროვება უნდა დაიწყოთ მხოლოდ მშრალ ამინდში, დღის საათებში, რათა ყვავილებზე ნამი არ იყოს.

ცაცხვი ყვავილობს 10-15 დღე, ამიტომ არ უნდა დაიგვიანოთ. შეგროვილ ყვავილებს აშრობენ თხელ ფენად გაშლილს ჰაერზე ჩრდილში, ან საშრობებში ან საშრობებზე 25-30 გრადუს ტემპერატურაზე. არ უნდა გამოაშროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ყვავილები ჩამოცვივდება. მშრალი ნედლეული შეიძლება შეინახოთ 2 წლის განმავლობაში.

ცაცხვის ყვავილები შეიცავენ ეთერზეთს, ჰესპერიდინს, ტილიაცინს, საპონინებს, სათრიმლავ ნივთიერებებს, კაროტინს, ასკორბინის მჟავას. ეთერზეთის შემადგენლობაში ნაპოვნია ფარნეზოლი.

ცაცხვის ყვავილი ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ნახარშებისა და ნაყენების სახით როგორც ოფლმდენი, ტკივილგამაყუჩებელი, დამამშვიდებელი საშუალება. იყენებენ აგრეთვე ნერვული აღგზნების, კრუნჩხვების, უძილობის, თირკმელების, ღვიძლის ჰიპერტონული დაავადების დროს.

ძალზე ეფექტურია ცაცხვის ყვავილების ჩაი გაცივების შემთხვევაში. მისი ნახარშები იხმარება აგრეთვე ზედა სასუნთქი გზების დაავადებების, მწვავე ბრონქიტების დროს. გამოიყენება აგრეთვე პირის ღრუსა და ყელში გამოსავლებად ანთებითი პროცესებისა და ანგინის დროს. ცაცხვის ყვავილები შედის ასევე ყელში გამოსავლები სხვადასხვა ნაკრებების შემადგენლობაში.

ხალხურ მედიცინაში გამოიყენება აგრეთვე ცაცხვის ფოთლების, ქერქისა და დაქუცმაცებული კვირტების ლორწოვანი ნახარშები ცხელი ან სველი საფენების სახით დამწვრობის, წყლულების, სარძევე ჯირკვლის ანთების, ბუასილის, რევმატიზმის, ნიკრისის ქარების დროს.

გაცივების დროს 2 სუფრის კოვზ ყვავილს ამზადებენ როგორც ჩაის, ასხამენ 2 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალს, აჩერებენ 20 წუთი, რის შემდეგ ნაყენი მზადაა გამოსაყენებლად. ან 1-2 სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ ყვავილს ასხამენ 2 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალს, ადუღებენ 10 წუთი, გადაწურავენ და იღებენ 2-3 ჭიქას საღამოს.

თირკმელების, ღვიძილსა და ჰიპერტონული დაავადების დროს ცაცხვის ჩაი უნდა მიიღოთ 3-ჯერ დღეში 1/2 ჭიქა.

# მებაღეობა ანტიდეპრესანტია — განიკურნეთ ნიადაგით!



მიწასთან შეხება ბედნიერების შეგრძნებას იწვევს!

ნიადაგში არსებობს ბუნებრივი ანტიდეპრესანტი, ეს არის მიკრობი Mycobacterium vaccae, რომლის შესწავლაც აქტიურად მიმდინარეობს მეცნიერების მიერ.

უკვე დადგენილია, რომ ამ მიკრობებს იგივე ზეგავლენა აქვთ ნეირონებზე, როგორც ნივთიერებებს, რომლებიც დეპრესიის სამკურნალოდ გამოიყენება.

კვლევებით დასტურდება, რომ მიწასთან ფიზიკური კონტაქტის შემცირებას, პირდაპირი კავშირი აქვს დეპრესიის ზრდასთან პლანეტაზე — ბოლო 50 წლის განმავლობაში.

არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ ადამიანთა ძალიან დიდი ნაწილს, ყოველდღიურ ცხოვრებაში საერთოდ არ აქვს შეხება ნიდაგათან. ზოგიერთი ბოლოდროინდელი აღმოჩენების საფუძველზე მეცნიერები თვლიან, რომ „სრული სისუფთავისადმი ლტოლვას“ აქვს თავის უარყოფითი მხარეც, რადგან ბაქტერიები რიგ შემთხვებში დადებითად მოქმედებენ ჩვენს სხეულზე და ემოციებზეც კი.

ბაქტერია Mycobacterium vaccae ნიადაგში გვხვდება და იწვევს სერატონინის გამომუშავების სტიმულირებას, სეროტონინი კი თავის ტვინში ბედნიერების და სიცოცხლის ხალისის შეგრძნებას იწვევს, ნებისმიერი სასიამოვნო პროცესის დროს გამოიყოფა სეროტონინი, ვისაც ამ ნივთიერების ნაკლებობა აქვს ემართება დეპრესია.

ნებისმიერი მოყვარული მებაღისგან მოისმენთ, რომ ნაკვეთი (ეზო) მისი ბედნიერების ადგილია და რომ მებაღეობა უხსნის სტრესს და უმაღლებს განწყობას.

ასე, რომ აიმაღლეთ განწყობა — იყავით ბედნიერი!

**მოამზადა
ალექსანდრე გიგილოშვილმა**

# რატომ ებრძვიან სტალინს

**დასაწყისი მე-3 გვ.-ზე**

1939 წლის 11 ნოემბერს, პოლიტბიუროს სხდომაზე სტალინმა გააუქმა 1919 წლის 1 მაისის ლენინის ხელმოწერილი ბრძანებულება 13666-2 „მღვდლებისა და რელიგიასთან ბრძოლის შესახებ“, რომლის შესრულება ძერჟინსკის ევალებოდა და მიიღო დადგენილება, რომლის ერთ-ერთი პუნქტი ამბობდა: „შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა ჩაატაროს ბრალდებულთა და დაპატიმრებულთა საქმეების რევიზია, რომელიც ღვთისმსახურებას უკავშირდება. განთავისუფლდნენ ის პატიმრები, რომლებიც ამ მოტივით იყვნენ დაპატიმრებულნი, თუკი მათ ქმედებას საბჭოთა ხელისუფლებისთვის ზიანი არ მოუტანია“.

სტალინმა იცოდა, რომ ადამიანი რწმენის გარეშე სასიკეთო საქმეებს ვერ გააკეთებდა, რომ რწმენა იყო საზოგადოების მამოძრავებელი ძალა...

სტალინი ხალხთა მეხსიერებაში ფესვგადგმულია, როგორც ფაშიზმის ულლისაგან კაცობრიობის გადამრჩენი. „მხნედ და იმედიანად დავაბიჯებ ქვეყანაზე იმ ადამიანთან მეგობრობითა და ახლო ურთიერთობით გაამაყებული, რომლის დიდებამაც მარტო რუსეთს კი არა, მთელ მსოფლიოს გადაუარა“, — ამბობდა უინსტონ ჩერჩილი სტალინზე მეორე მსოფლიო ომის დროს. სტალინი და მის სახელთან დაკავშირებული ეპოქა მასონ-სიონისტებმა ცნობიერების მასობრივი დამახინჯების მიზნით აირჩიეს, რათა ხალხებს თავის გადარჩენის ბრძოლის უნარი წაართვან, შთაუნერგონ აზრი, რომ ხალხთა უბედურების მომტანი სტალინი და სტალინიზმია, მის მიერ შექმნილი სახელმწიფო კაცობრიობისთვის არა ბედნიერების, არამედ უბედურების მომტანი იყო. საბჭოთა კავშირი ტროცკის გზით რომ წასულიყო, ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე არ იქნებოდა არც ერთი ეროვნული სახელმწიფო. ტოპონიმური სახელები, ალბათ, შემორჩებოდა, მაგრამ მოხდებოდა ერების კვდომა, რომლისკენაც ახლა მიისწრაფვიან მსოფლიო ბატონობისაკენ მავალი „ბნელი ძალები“. მათ საცდელ პოლიგონად საქართველოს გამყიდველმა სააკაშვილმა ჩვენი სამშობლო აქცია; ისინი აქ ხვეწენ მომავალი მსოფლიოს სახელმწიფოებრივი მართვის სისტემის მექანიზმებს.

სოციალური უსამართლობის ამ გლობალურ ეპოქაში, მიუხედავად განუწყვეტელი თავდასხმისა, სტალინის სახეს ხალხთა მეხსიერებიდან ვერ შლიან. მისი სიდიადე უფრო და უფრო იკვეთება, იგი სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ხალხთა ცხოვრების უკეთესად მოწყობისთვის ბრძოლის სიმბოლოდ რჩება. მისი დრო — ესაა თავდაუზოგავი შრომისა და თავმდაბლობის დრო, დრო, რომელიც ადამიანთა მეხსიერებაში ღრმადაა ჩაბეჭდილი და რომლის ამოშლას ასე ცდილობენ „ოქროს მილიარდისკენ“ მავალი ბოროტი ძალები.

დავასრულებ შარლ დე გოლის სიტყვებით: „სტალინს კოლოსალური ავტორიტეტი ჰქონდა არა მხოლოდ რუსეთში! მას შეეძლო მოეშინაურებინა თავისი მტერი, პანიკაში არ ჩავარდნილიყო დამარცხებისას და თვითკმაყოფილებას არ მისცემოდა გამარჯვებისას!“

**ვილჰელმ მახარაძე,
საქართველოს სახალხო-პატრიოტული კავშირის თავმჯდომარე,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი,
გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი**

## მილოცვები

დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს პირველ შვილიშვილს თეა ბუჯიაშვილს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ცხოვრებაში დიდ წარმატებებს.

**დიდი სიყვარულით შენი ნათელა ბებია**

დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს პირველ შვილთაშვილს, 5 წლის მარიამს. ვუსურვებ ბედნიერ ბავშვობას, ულევ სიხარულს, სიყვარულს თავის საყვარელ ახლობლებთან ერთად.

**დიდი სიყვარულით შენი ნათელა ბებია**

**ნინო სესიაშვილს!**

გავაზის საჯარო სკოლის დირექცია და პედაგოგიური საზოგადოება დიდი სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს — დაბადებიდან 70 წლის იუბილეს.

... ყველასთვის კეთილი რჩევის მომცემო და დამრიგებელო, სიკეთით სავსე ადამიანო, გისურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

# რამდენად დაბინძურებულია ჰაერი საქართველოში

„თბილისში ჰაერის დაბინძურების მხრივ მდგომარეობა საგანგაშოა“ — ასე აფასებენ ეკოლოგები და გარემოს დამცველების ჰაერის ხარისხს საქართველოს დედაქალაქში. მათივე თქმით, სახარბიელო მდგომარეობა არც ქვეყნის სხვა ქალაქებშია. ეკოლოგები ჰაერის დაბინძურების გამომწვევ ძირითად მიზეზებად საწვავის ხარისხს, გამონაბოლქვს და გაჩეხილ მწვანე საფარს ასახელებენ.

როგორც Allnews.ge-სთან „პარტიზანული მებაღეობის“ დამფუძნებელი ნატა ფერაძე ამბობს, ჰაერის დაბინძურების დონის საზომი ზუსტი ხელსაწყო საქართველოში არ არის, ამიტომაც დასკვნის გაკეთების საშუალება არ არის.

„პრობლემა არის ის, რომ ჰაერის დაბინძურებაზე ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ მხოლოდ მთაწმინდიდან გადმოხედვით და ვიზუალით. რამდენიმე კვლევასავით ჩატარდა, თუმცა ეს კვლევებიც საკმაოდ არაზუსტი და არასაკმარისია იმისათვის, რომ ზუსტი სურათი გვქონდეს. მაგრამ რა კვლევებიც ჩატარებულა, ყველამ აჩვენა, რომ ჰაერი ნორმაზე გაცილებით მეტადაა დაბინძურებული.

„რაც შეეხება გარემოს დაცვის სამინისტროს მონაცემებს, ჰაერის დაბინძურების საზომი მოწყობილობა უდგათ ვაშლიჯვარში, ბოტანიკურ ბაღში, ანუ ისეთ ადგილებზე, სადაც რეალურ სურათს ვერ მივიღებთ, თუმცა იქაც კი აღინიშნება სერიოზული დაბინძურება“, — ამბობს ნატა ფერაძე.

მისი თქმით, ჰაერის დაბინძურების გამომწვევი ძირითადი მიზეზი უხარისხო, გაუმართავი ავტომობილებია, „მეორე პრობლემა კი ხე-მცენარეების ნაკლებობაა. ჭადრის ხე აღიარებულია მძიმე მეტალებისა და იმ ნივთიერებების გამნადგურებლად, რომელთაც გამოყოფენ მანქანები. დიდი რაოდენობით ჭადარი გაიჩეხა აღმაშენებლის გამზირზე, რუსთაველზე, ახლა სანაპიროზე იგეგმება, სრულიად დაუგეგმავად მიმდინარეობს ჰაერის დაბინძურებასთან ბრძოლა და რაც ყველაზე საგანგაშოა, ჰაერი აკუმულირდება მიწის სიმაღლიდან ერთნახევარი მეტრის სიმაღლეზე, ანუ ბავშვის სიმაღლეზე და ყველაზე მძიმე ჰაერის სუნთქვა სწორედ ბავშვებს უწევთ.

„საგანგაშოა ისიც, რომ ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული დაავადებების რაოდენობა გაზრდილია. ევროპული კლინიკებიც კი ამბობენ, რომ ამ მიზეზით გაიზარდა ბავშვების მიმართვიანობა.

დაბინძურებული ჰაერი კი იწვევს ონკოლოგიურ დაავადებებს, ასევე ასთმას, ბრონხების დაავადებებს და ა.შ.

ძალიან მძიმე სიტუაციაა და სასწრაფოდ ზომებია მისაღები, ამისათვის კი საჭიროა მანქანებისთვის ტექდათვალიერების შემოღება, რომელსაც არჩევნების წინ ყველა ხელისუფლება გაურბის და ყველაზე მარტივი და სწრაფად მოქმედი საშუალება რაც შეიძლება მეტი ადეკვატურის ხის დარგვაა და არა გაურკვეველი კვიპაროსების სრულიად გაუთვალისწინებელ ადგილებში, მაშინ როდესაც გამზირები მოშიშვლებულია და არაფრისგან გვიცავს ის ხეები, რომლებსაც რგავენ“, — ამბობს ნატა ფერაძე.

„დემოკრატიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელის, ეკოლოგ ლაშა ჩხარტიშვილის თქმით, ჰაერის დაბინძურების მხრივ სრულფასოვანი მონიტორინგი არ მიმდინარეობს. თუმცა, როგორც ჩხარტიშვილის ამბობს, არსებული მონაცემის მიხედვითაც შეიძლება იმის თქმა, რომ „თბილისში ჰაერის დაბინძურების დონე საგანგაშოა“.

„ამის ძირითადი მიზეზი უხარისხო საწვავია. ამ ეტაპზე არ კონტროლდება საწვავის ხარისხი, მეორე მხრივ, სავალალოა ავტოპარკის მდგომარეობა. ამას გარდა, იჩეხება გამწვანებული ტერიტორიები. გამწვანებული ზოლი თავის მხრივ გულისხმობს უამრავ ჟანგბადს და მთელ რიგ მავნე ნივთიერების გაფილტვრას. ცნობილია, რომ რიგ შემთხვევაში სხვადასხვა სახეობის მცენარეები 70%-მდე მავნე ნივთიერებას აკავებს სხეულში.

„რაც შეეხება მილიონი ხის არასერიოზულ თემას, ჩატარებულია ჟურნალისტური გამოძიება, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ რამდენიმე ასეული სავრაუდოდ დარგული ხიდან, უმეტესობა უკვე გამხმარია და ისინი დარგეს არა იქ, სადაც საჭიროა, არამედ ქალაქის შემოგარენში, სადაც ჰაერი ნაკლებად დაბინძურებულია. თბილისის გარდა ჰაერის დაბინძურების მხრივ გამორჩეულია ინდუსტრიული ქალაქი — ზესტაფონი, ტყიბული, ჭიათურა, რუსთავი, თუმცა არც სხვა ქალაქებშია სახარბიელო მდგომარეობა“, — ამბობს ლაშა ჩხარტიშვილი.



ჰაერის დაბინძურების მონიტორინგს გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტი უზრუნველყოფს, რომლის უფროსი, მარინა არაბიძე ამბობს, ამ ღონისძიებას აღნიშნული უწყება რამდენიმე მეთოდით ახორციელებს.

„ადრე და ახლაც ჰაერის დაბინძურების მონიტორინგს სტაციონალური ჯიხურების გამოყენებით ვაკეთებდით, მაგრამ დავამატეთ ინდიკატორული გაზომვები. თბილისის მაგალითი რომ ავიღოთ ეს უკანასკნელი მეთოდი გულისხმობს შემდეგს — თბილისში განთავსებულია ჰაერის დაბინძურებაზე დაკვირვების ჯიხურები, ისინი განთავსებულია მოსკოვის გამზირზე, წერეთლის გამზირზე, აღმაშენებლისა და თამარ მეფის ქუჩების გადაკვეთაზე და სამუშაო დღეებში აკონტროლებს ჰაერის დამაბინძურებლებს, როგორიცაა მტვერი, ნახშიროჟანგი, აზოტის დიოციდები, ტყვიის შემცველობა ჰაერში. შედარებით სუფთა ადგილზე — ვაშლიჯვარში განთავსებულია ჯიხური, სადაც 24 საათის განამვლობაში მიმდინარეობს დაკვირვება.

„რაც შეეხება ინდიკატორულ დაკვირვებებს, რომელიც გასული წლიდან შემოვიტანეთ, მისი საშუალებით პირველი კვლევა 2015 წლის სექტემბერში ჩატარდა, მეორე კი ნოემბერში, ეს არის ინდიკატორული ღილაკები, რომელიც ქალაქის 26 წერტილშია განთავსებული, 2 კვირის განმავლობაში ეს ღილაკები კიდია ქალაქში და ივსება ისინი ბინძური ჰაერით, მოგვიანებით ღილაკები იგზავნება ინგლისის აკრედიტირებულ ლაბორატორიაში, იქიდან ჩამოდის პასუხები, რომელსაც შემდეგ ვადარებთ ჰაერის ხარისხის ინდექსებს, რომელიც ევროპულ სტანდარტებთან არის ჰარმონიზებული“, — ამბობს მარინა არაბიძე.

მისი თქმით, ჰაერის დაბინძურების განსასაზღვრად, ერთ-ერთი ბოლო კვლევა 2015 წლის ნოემბერში ინდიკატორული მეთოდით ჩაატარეს და როგორც ის ამბობს, შედეგი არცთუ ისე საგანგაშოა.

„ამ კვლევის დროს, თბილისის 24 წერტილში იყო განთავსებული ინდიკატორული ღილაკები. არსებობს დაბინძურების 4 ინდექსი — დაბალი, საშუალო, მაღალი და ძალიან მაღალი. დაბალი ნიშნავს, რომ ჰაერის დაბინურების ხარისხი ნორმის ფარგლებშია, საშუალო ნიშნავს, რომ ნორმას აღემატება 1-დან 2-მდე, 2-დან 3-მდე არის მაღალი და 3-ზე მეტი თუ არის დაბინძურების შემცველობა ჰაერში, ეს არის ძალიან მაღალი.

„თბილისში აღებული 24 წერტილიდან 6 მისამართზე ტაშკენტის ქუჩაზე, წინამძღვრიშვილზე, ხახულის ქუჩაზე, მოსკოვის გამზირზე, სამრეკლოსა და გახოკიძის ქუჩაზე დაფიქსირდა საშუალო ინდექსი, დანარჩენში ყველგან დაბინძურების ინდექსი იყო დაბალი. შეიძლება ითქვას, რომ ჰაერი არის დაბინძურებული, მაგრამ საგანგაშო მდგომარეობა არ არის.

„თბილისის გარდა სტაციონალურ დაკვირვებას ვაკეთებთ ქუთაისში, ბათუმში, რუსთავში, ზესტაფონში, სადაც განთავსებულია ჯიხურები. ამ ქალაქების ჩათვლით, გასულ წელს ინდიკატორული დაკვირვება გავაკეთეთ საქართველოს მასშტაბით 16 ადგილას, მათ შორის ზუგდიდში, ფოთში, ოზურგეთში, თელავში, ხაშურში და ა.შ. ჰაერის დაბინძურების მხრივ ამ ქალაქებში თითქმის იგივე მდგომარეობაა, რაც თბილისში“, — ამბობს მარინა არაბიძე.

თეა ბეჟიტაშვილი

# ქ. ყვარლის სასაფლაო სანიმუშო სისუფთავით გამოირჩეოდა სადღესასწაულო დღეებში

ჭეშმარიტებაა, რომ თითოეული მართლმადიდებელი განსაკუთრებულად ემზადება აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის შესახვედრად. ადამიანების უმეტესობა მარხულობენ, ესწრებიან წირვა-ლოცვებს და სადღესასწაულო თადარიგსაც იჭერენ, რათა უფლის სადიდებელი სადღეგრძელოები შესვან სააღდგომოდ მომზადებულ ქართულ სუფრაზე.

მისასალმებელია, რომ ტრადიციისამებრ საფლავები სუფთავდება, რგავენ მარადმწვანე მცენარეებს და ყვავილებს. სამწუხაროდ, ყველას როდი გააქვს მოქუჩებული ნარჩენები, ზოგიერთი პიროვნების მიერ გამოჩენილი დაუდევრობით სასაფლაოს ტერიტორია ბინძურდება.

მეტად სავალალო მდგომარეობა შეიქმნა ქ. ყვარლის სასაფლაოზე აღდგომის წინა დღეებში. აიპ ყვარლის კეთილმოწყობის სამსახურის დირექტორმა გიგლა ბეჟანიშვილმა გადაწყვიტა სოფლებიდანაც მოეწვია თანამშრომლები და ყვარლის სასაფლაოს ტერიტორიიდან გაეტანათ ნარჩენები.

მასიურმა შაბათობამ შედეგი გამოიღო და ქ. ყვარლის სასაფლაო სანიმუშო სისუფთავით გამოირჩეოდა დღესასწაულის დღეებში.

**ალეკო ქაფიანიძე**








## გამოსათხოვარი

ილია ჭავჭავაძის სახელობის ყვარლის პირველი საჯარო სკოლის 2002 წლის კურსდამთავრებულები და კლასის ხელმძღვანელი ლალი ჭერაშვილი მწუხარებაში თანაუგრძნობენ სკოლის ყოფილ დირექტორს და მათემატიკის მასწავლებელს ნუნუ ჩახნაშვილს შვილის და თანაკლასელს დავით ჩახნაშვილს მამის დავით ჩახნაშვილის გარდაცვალების გამო.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86